სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 27 მაისი 2006 №119 (2741) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ლედი სპორტშიც დემოკრატიას და საქართველოს ეძებს

ცუდია, რომ საქართველო მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს და საქმაგოდ მარტო ჰოლანდია დამრჩა...

ინტერვიუ სანდრა რულოვსთან იხილეთ მე-12 გვერდზე



იმედის კედელი ჯერაც დგას

ზაზა კედელაშვილს ტამპერედან ოქრო მოაქვს

EUROPEAN CHAMPIONSHIPS Judo 2006

TAMPERE • FINLAND 26.-28. MAY 2006

ნაციონალური ნუმერაცია

ნაკრების პრესსამსახური

დღეს ტოპმიოლერი ოპტიმალური და ოპტიმისტია

დღეს, 19 საათი და ახალი ზელანდია: საქართველოს ნაკრები კლაუს ტოპმიოლერის ხელში მეოთხე ტესტ-მატჩს ჩაატარებს, მაგრამ ეს მეოთხე წინა სამისგან იმით გამოირჩევა, რომ ნაკრები პირველად ითამაშებს თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით. და კიდევ, ახალ ზელანდიასთან და პარაგვაისთან ჩვენი გუნდის ფეხბურთელები მუდმივი ნომრებით ითამაშებენ.

ჰერ კლაუსმა გუშინაც ერთხელ ავარჯიშა გუნდი, ხოლო ახალ ზელანდიასთან თამაშზე ერთმნიშვნელოვნად ამბობს — „მთავარია მოგება!“ ცხადია, ნაკრები ჩამოყალიბების პროცესშია და ტოპმიოლერს მოგების იქით სხვაც ბევრი აქვს დასაკვირვებელ-მოსანიშნი...

შევჩენკომ მილანს ოჯახიდან ცნობა მიუტანა

შეიძლება ასე ითქვას: შევჩენკოს ბრწყინვალე ეპოქა „მილანში“ დასრულდა. „პრესკონფერენციის დაწყებამდე წუთით ადრე კიდევ ერთხელ ვთხოვე დარჩენა, მაგრამ ამაოდ. არც ერთი ფეხბურთელის წასვლაზე ასე გული არ დამწყვეტია“ — დაიჩივლა გუშინ ადრიანო გალიანიმ.

„ოჯახური მიზეზების გამო მივდივარ — განაცხადა შევჩენკომ — და არა ფულის გამო. მიჭირს ფანებისთვის თვალებში შეხედვა, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს. მე არ ვიცი ინგლისური, ჩემმა ამერიკელმა ცოლმა კი უკრაინული. ამიტომ იტალიურად გვიწევს საუბარი. ერთადერთი გამოსავალი, რომ გავაგებინოთ ჩვენს შვილებს, თუ როგორ გვიყვარს ისინი, მათთვის ინგლისური ენის სწავლაა. მადლობა კლუბს, მადლობა გალიანის და ბერლუსკონის, რომლებმაც ჩემი პრობლემა გაიგეს. ეს გადაწყვეტილება ჩემი მომავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შეუძლებელია „მილანის“ დარი სხვა კლუბის მოძებნა, მაგრამ ოჯახის გამო იძულებული ვარ, წავიდე“.

ადრიანო გალიანიმ კი იხუმრა: „ესაა ინგლისური ენის გამარჯვება იტალიურზე. ფაქტია, რომ მე ყველაფერი ვიღონე შევჩენკოს დასატოვებლად, ახლა „ჩელსისთან“ მოლაპარაკებას დავიწყებთ, მაგრამ შეთანხმების მიღწევა არც ისე იოლი იქნება“.

ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ რომან აბრამოვიჩის მეუღლე ირინამ „შევას“ ცოლი კრისტენი ლონდონში დაპატიჟა და მათი შეხვედრის შემდეგ გადაწყდა უკრაინელი ფეხბურთელის „ჩელსიში“ გადასვლის ამბავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ ზელანდიასთან ოღრო-ჩოღროზე

არველაძეს ფულემი იქ ან ავსტრიაში ჩააკითხავს

დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრები ჩვენი დროით 19 საათზე გერმანულ დაბა ალტენკირხენში ახალი ზელანდიის ნაკრებს გაეჯიბრება. გუშინ საქართველოს ნაკრებმა ნაშუადღევს ივარჯიშა და შემდეგ ტოპმიოლერმა თეორიული მეცადინეობა ჩაუტარა ფეხბურთელებს. საღამოს კი ნაკრების ალკმაარელ შემტევ შოთა არველაძეს დავუკავშირდით...

— ტოპმიოლერმა „სარბიელს" უთხრა, გუნდის ბირთვი უკვე არსებობსო და მასში კახა კალაძის, ზურაბ ხიზანიშვილის, მალხაზ ასათიანის, ლევან კობიაშვილის და გიორგი დემეტრაძის გარდა შენც დაგასახელა.— ამის შესახებ გელაპარაკა ტოპმიოლერი?

— ალტენკირხენში ასეთი საუბარი არ გვქონია. ტოპმიოლერი ამსტერდამში რომ შეხვდა „ალკმაარის" თავკაც ლუის ვან გაალს, მერე მეც მესაუბრა. მითხრა, დიდი გეგმები გვაქვს და მსურს, ამ ყველაფერში სერიოზული მონაწილეობა მიიღოო.

— 33 წლის ხარ, მომავალი შესარჩევი ციკლი ორწლიანია. ჰოლანდიის ჩემპიონატი, უეფას თასი და ნაკრები — ასეთ რეჟიმში თამაშის ჯანი კიდევ ორ წელიწადს შეგრჩება?

— გულთმისანი ნამდვილად არ ვარ და ასეთ პროგნოზს ვერ გავაკეთებ.

— ტოპმიოლერმა გვითხრა, რომ ახალზელანდიელებთანაც 4-3-3 სქემას აირჩევს — თავდასხმის სამეული უკვე ცნობილია?

— არა, შემადგენლობა ტოპმიოლერს ჯერ არ დაუსახელებია.

— ნაკრებში გამოძახებულთა უმრავლესობას თავიანთ კლუბებში სეზონი ორი-სამი კვირის წინ დაუმთავრდა — როგორ ტონუსში ხართ ახლა ფეხბურთელები?

— ასეთ ვითარებას ამ შეკრებაზე არაფერი ეშველება, მაგრამ ბევრი რამ იმაზეც იქნება დამოკიდებული, ჩვენ და ახალზელანდიელები შეცვლების როგორ ლიმიტზე მოვილაპარაკებთ. დღესდღეობით ნაკრების ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა.

— თეორიულ მეცადინეობაზე აქცენტი რაზე გააკეთა ტოპმიოლერმა?

— თეორიაზე მან ძალიან არ დაგვტვირთა, ნელ-ნელა შეგვაპარა თავისი იდეები, მერე კი ალბათ უფრო შეანთებს ცეცხლს.

— ვარჯიშებზე ძალიან დაგტვირთათ მწვრთნელმა?

— ორი დღეა, წვიმს. დღესაც წვიმაში ვივარჯიშეთ და მინდორი ძალიან გაფუჭდა. ხვალ ახალ ზელანდიას სწორედ ამავე მინდორზე უნდა ვეთამაშოთ...

— რამდენიმე კვირის წინ შენით პრემიერლიგური „ფულემი" დაინტერესდა — საქმე ამის იქით აღარ წასულა?

— ჩემი აგენტი ივან ბენეში და „ფულემის" წარმომადგენელი ან ახლა ჩამოვლენ ალტენკირხენში ახალ ზელანდიასთან მატჩისთვის, ან 31 მაისს ავსტრიაში პარაგვაისთან მატჩზე.

დავით თავართქილაძე

სფფ-ის პრესსამსახური

დანომრილი საქართველო

ტოპის დაცვა-შეტევა და შეტევა-დაცვა

დღეს თბილისის დროით 19 საათზე კიოლნთან მდებარე დაბა ალტენკირხენში საქართველოს ნაკრები ახალ ზელანდიას ეთამაშება. ამხანაგური ჰქვია მატჩს, მაგრამ კლაუს ტოპმიოლერი და მისი გუნდი უეჭველი მოგებისთვისაა დარაზმული, ტოპმ აღნიშნა კიდეც, მოახლოებულ ორ თამაშში ჩვენთვის მთავარი შედეგიაო. ამხანაგური ჰქვია, მაგრამ იმ მხრივაც გამორჩეულია ქართველთათვის ეს მატჩი, რომ ტოპის პირველად მოუწევს ფაქტობრივად ოპტიმალური შემადგენლობის თავკაცობა.

არაა გამორიცხული, შეკრებაზე ნაკრებს გოგა გახოკიძე და ლევან ცქიტიშვილი მაინც შეუერთდნენ — მათ ტრავმები აწუხებთ და ალტენკირხენში ჯერ არ ჩასულან.

და კიდევ, ქართველები ახალ ზელანდიასთან და პარაგვაისთან მუდმივნომრიანი მაისურებით ითამაშებენ:

1 ნუკრი რევიშვილი, 2 კახა მჟავანაძე, 3 ოთარ ხიზანეიშვილი, 4 კახა კალაძე, 5 დავით კვირკველია, 6 კახა ალადაშვილი, 7 გიორგი დემეტრაძე, 8 ოთარ მარცვალაძე, 9 ალექსანდრე იაშვილი, 10 ლევან კობიაშვილი, 11 შოთა არველაძე, 12 გიორგი ლომაია, 13 ზურაბ ხიზანიშვილი, 14 გოგიტა გოგუა, 15 ილია კანდელაკი, 16 მალხაზ ასათიანი, 17 მათე ღვინიანიძე, 18 ზურაბ მენთეშაშვილი, 19 ვასილ გიგიაძე, 20 დავით მუჯირი, 21 ზურაბ იონანიძე, 22 ჯაბა კანკავა, 23 ლაშა სალუქვაძე.

რაც შეეხება გუშინდელ ვარჯიშს: კლაუს ტოპმიოლერმა დიდი ყურადღება დაუთმო დაცვიდან შეტევაზე და შეტევიდან დაცვაზე გადასვლას, ასევე საკმაო ხანს გაგრძელდა თეორიული მეცადინეობაც.

ილია ნანოგაშვილი

ფედერაცია, საქართველოს საელჩო, გერმანია და ღია კარის დღე

20 მაისს გერმანიაში საქართველოს საელჩო „ერთა ფესტივალში" მონაწილეობდა, რომელიც ბერლინური საერთაშორისო შეხვედრების საზოგადოება BGBI-მ გამართა და ბერლინში აკრედიტებულ საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში ღია კარის დღის ჩატარებას ითვალისწინებდა.



სფფ-ის პრესსამსახური

წლევანდელი აქციის თემა ფეხბურთი იყო. საქართველოს საელჩოს ღია კარის დღის ჩატარებაში დიდი დახმარება გაუწია სფფ-ის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა, რომელმაც მათ ქართული ფეხბურთის ისტორიის ამსახველი საინტერესო ფოტოგამოფენა, ეროვნული ნაკრების ფორმა და ნაკრების ფეხბურთელების ავტოგრაფებიანი ბურთი გადასცა.

ლევან კობიაშვილმა, შოთა არველაძემ და ალექსანდრე იაშვილმა საელჩოს გაუგზავნეს ავტოგრაფებიანი მაისურები და თავიანთი გუნდების ფეხბურთელთა ხელმოწერებიანი ბურთი. ღია კარის დღე კი საფეხბურთო ტურნირმა დაასრულა, რომელშიც ქართული სტუდენტებით გაძლიერებულმა და ეროვნული ნაკრების მაისურებში გამოწყობილმა საქართველოს საელჩოს გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა...

ორი პლეი ოფი პირველისთვის

უმაღლესი ლიგის დარად, გადასასვლელი პლეი ოფი ტარდება პირველ ლიგაში ადგილის მოსაპოვებლადაც. პლეი ოფში გუნდები ასე დაწყვილდნენ:

ომც (თბილისი) — სკონტო აკადემია (თბილისი)
კოლხეთი (ხობი) — შუქურა (ქობულეთი)

აღმოსავლეთ ზონის მატჩი 28 მაისს 16 საათზე თბილისში, „სინათლეს" სტადიონზე გაიმართება და ეს მსაჯები მოემსახურებიან: მ. მაისურაძე; ვ. გუმბერიძე, ზ. გურგენაძე; პ. დოგრაშვილი; დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე.

დასავლეთ ზონის პლეი ოფი 29 მაისს 16 საათზე ქუთაისში, „ტორპედოს" სტადიონზე ჩატარდება. მსაჯები: ო. ხეცაძე; ა. ნონიკაშვილი, ვ. ელისაბედაშვილი; მ. ბეუქლიშვილი; დამკვირვებელი: რ. მგელაძე.

ამ ორ წყვილში გამარჯვებულები 4 ივნისს გორის „თენგიზ ბურჯანაძეზე" გაარკვევენ პირველლიგელის ვინაობას.

აქვე გეტყვით, რომ პირველი ლიგის საგზურები ყოველგვარი გადათამაშების გარეშე მოიპოვეს ზონების გამარჯვებულებმა: ზუგდიდის „მგლებმა", საჩხერის „ჩიხურა 2"-მა, თბილისის „ნორჩი დინამოელმა" და ოზურგეთის „მერცხალმა".

კახა შალამბერიძე

ჩიხურამ და ქასრაშვილმა კონტურები და ფეხბურთელები მოხაზეს

უმაღლეს ლიგაში აღზევებულ საჩხერის „ჩიხურას" მომავალ სეზონში ხვიჩა ქასრაშვილი რომ გაწვრთნის, გუშინ გაუწყეთ. გუშინვე შედგა ქასრაშვილისა და კლუბის ხელმძღვანელობის შეხვედრა და „ჩიხურას" ახალ მწვრთნელს ამაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა...

— „ჩიხურას" სამომავლო გეგმებზე ვისაუბრეთ. უკვე ვაწარმოებთ მოლაპარკებას რამდენიმე ფეხბურთელთან.

— ითქვა, „ჩიხურა" ფაქტობრივად დაშლილი „ბორჯომის" ფეხბურთელებით გაძლიერდებაო...

— უბრალოდ, ლაპარაკია „ბორჯომიდან" სამი-ოთხი ფეხბურთელის გადმოყვანაზე.

— კონკრეტულად რა მიზნისთვის იბრძოლებს „ჩიხურა" მეთვრამეტე ეროვნულ ჩემპიონატში?

— ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ფეხბურთელთა რა კონტინგენტს მოვუყრით თავს. უკვე გვაქვს 50-კაციანი სია, საიდანაც უნდა დავიმატოთ ფეხბურთელები და ვნახოთ... საქართველოს კვალობაზე „ჩიხურაში" ნორმალური პირობები იქნება.

— რომელი ადგილისთვის იბრძოლებს „ჩიხურა"?

— უმაღლეს ლიგაში მაჩანჩალა გუნდი ნამდვილად არ იქნება.

— ანუ „ჩიხურაში" საქართველოს კვალობაზე გრანდიოზული პროექტი არ განხორციელდება, როგორც ამას კულუარებში ვარაუდობდნენ?

— არა, ამ ეტაპზე ეს არ იგეგმება.

— წინა სეზონის პირველი წრე „სიონს" მეორე ადგილზე ჩაამთავრებინეთ — „ჩიხურაში" დაახლოებით იგივე სიძლიერის ფეხბურთელებს მოუყრით თავს, „სიონში" რომ გყავდათ?

— კი, შეიძლება ითქვას, დაახლოებით ისეთი კონტინგენტი გვეყოლება. გუნდის ბირთვი 5-10 ივნისისთვის გახდება ცნობილი. გადაწყვეტილია, რომ ორკვირიან შეკრებას გავივლით გრიგოლეთში.

დავით თავართქილაძე

ავსტრია

I დივიზიონი. XXXVI ტური

ავსტრია (ლ) 2:0 შვანენშტადტი
გრატკორნი 1:1 ალტახი
კერნტენი 2:4 კაპფენბერგი
ლინცერი 3:0 კუფშტაინი
ლეობენი 4:0 ავსტრია (მ)

უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XXIX ტური

ჰონვედი 0:1 დებრეცენი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)

B ჯგუფი

II ტური

დანია 1:1 ჰოლანდია
იტალია 1:0 უკრაინა

ამხანაგური მატჩები

ჩეხეთი 2:0 საუდის არაბეთი
თურქეთი 1:1 განა

უეფას თასის წლევანდელ გათამაშებაში საქართველოს ღირსებას თბილისური „ამერი“ და „ვიტ ჯორჯია“ დაიცავენ. ჯერჯერობით არ გამართულა კენჭისყრა და უცნობია, ვისთან მოუწევთ ჭიდილი საქართველოს თასის მფლობელს და ჩემპიონატის ვერცხლისმედალოსანს, თუმცა უეფამ უკვე განსაზღვრა კენჭისყრის პროცედურა და განთესვის პრინციპები, რომლის ანალიზმაც ერთი შეხედვით ფანტასტიურ, თუმცა სავსებით რეალურ ვარაუდამდე მიგვიყვანა: არის შანსი, უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში „ამერი“ და „ვიტ ჯორჯია“ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. როგორ? სანამ ჩვენი წერილის „თეორიულ“ ნაწილზე გადავალთ, სჯობს, პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის ცენტრალურ-აღმოსავლეთ ზონის განთესვის ცხრილს გადავავლოთ თვალი...



1. ბაზელი (შვეიცარია)	49.537
2. იანგ ბოიზი (შვეიცარია)	8.537
3. ზაგლებიე (პოლონეთი)	6.10
4. უნგრეთის თასის მფლობელი	4.840
5. უნგრეთის მეორეადგილოსანი	4.840
6. სლოვაკეთის თასის მფლობელი	4.070
7. სლოვაკეთის მეორეადგილოსანი	4.070
8. ზიმბრუ (მოლდოვა)	3.255
9. ...	...
10. ...	...
11. ...	...

განთესილები

განუთესავები

1. ...	...
2. ...	...
3. ...	...
4. ბატე (ბელარუსი)	1.457
5. დინამო (ბელარუსი)	1.457
6. მიკა (სომხეთი)	0.990
7. ბანანცი (სომხეთი)	0.990
8. აზერბაიჯანის თასის მფლობელი	0.660
9. აზერბაიჯანის მეორეადგილოსანი	0.660
10. ტობოლი (ყაზახეთი)	0.550
11. კაირატი (ყაზახეთი)	0.550

ქართული ჯახი უეფას თასზე?

ამერს და ვიტ ჯორჯიას ფეარ პლეი იტყვის

ჯერჯერობით სიაში არ შეუყვანიათ სამი კლუბი: მოლდოვური „ნისტრუ“ (კოეფიციენტი 2.255), თბილისის „ამერი“ (2.090) და „ვიტ ჯორჯია“ (2.090). ცხრილის რომელ ნახევარში მოხვდებიან ქართული კლუბები, იმაზეა დამოკიდებული, როგორ განაწილდება უეფას თასზე „ფეარ პლეის“ პრინციპით გასათამაშებელი სამი საგზური. ბოლო მონაცემებით, უეფას თასის სამ საგზურს 12 მაძიებელი ჰყავს: „რუზელარე“ (ბელგია), „გეფლე“ (შვედეთი), „მარიეჰამნი“ (ფინეთი), „ბრედა“ (ჰოლანდია), ლატვიის წარმომადგენელი, „აარაუ“ (შვეიცარია), „ბრანი“ (ნორვეგია), „პუბლიკუმი“ ან „პრიმორიე“ (სლოვენია), „დორტმუნდი“ (გერმანია), „ჩარლტონი“ (ინგლისი), სლოვაკეთის წარმომადგენელი.

პირველადგილოსანი ავტომატურად მიიღებს უეფას თასის საგზურს, დანარჩენი ორის მფლობელს კი კენჭისყრა გაარკვევს, რომელიც 4 ივნისს პორტუგალიაში, 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩის შესვენებისას გაიმართება. თუ კენჭისყრა უეფას თასის საგზურით შვეიცარიულ „აარაუს“, გერმანულ „დორტმუნდს“ ან ჯერაც უცნობ სლოვაკურ გუნდს „დაასაჩუქრებს“, ისინი სწორედ ჩვენს, ცენტრალურ-აღმოსავლეთ ზონაში დაიკავებენ ადგილს. შესაძლოა, ამ სამეულიდან უეფას თასის საგზური არცერთს, ერთს, ორს ან სამივეს ერგოს. ცხრილის საბოლოო სახე კი ამის მიხედვით ოთხგვარი შეიძლება იყოს.

ვარიანტი პირველი: თუ უეფას საგზური სამივე ხსენებულ გუნდს შეხვდება, ისინი ცხრილის მარცხენა ნახევარში, ანუ განთესილთა შორის დაიკავებენ დატოვებულ სამ ადგილს, საქართველოს წარმომადგენლები კი „ნისტრუსთან“ ერთად განუთესავთა შორის გადაინაცვლებენ. ბუნებრივია, ფრიად არასახარბიელო პერსპექტივაა, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლოა, „ამერს“ ან „ვიტ ჯორჯიას“ მეტოქედ „დორტმუნდი“ ერგოს.

ვარიანტი მეორე: თუ უეფას თასის საგზური ხსენებული სამიდან ერთ-ერთ კლუბს ერგო, ამ შემთხვევაში განთესილთა შორის ის ერთი და მოლდოვური „ნისტრუ“ მოხვდებიან, ორივე ქართული გუნდი კი განუთესავთა შორის გადაინაცვლებს.

ვარიანტი მესამე: თუ უეფას თასის საგზური ხსენებული სამიდან ორ გუნდს შეხვდება, ამ შემთხვევაში ზონაში გუნდების რაოდენობა კენტი (21) იქნება. დასაწყვილებლად ამ 21 გუნდს განუთესავთა შორის ლიხტენშტაინის თასის მფლობელი „ვადუცი“ დაემატება. რაც შეეხება ქართულ კლუბებს, ამ შემთხვევაშიც განუთესავთა შორის იქნებიან.

ვარიანტი მეოთხე: თუ უეფას თასის საგზური გერმანიის, შვეიცარიის ან სლოვაკეთის წარმომადგენელთაგან არც ერთს არ ერგო, ზონაში გუნდების რაოდენობა 19 იქნება და დასაწყვილებლად ისევ „ვადუცის“ დამატება იქნება საჭირო. ოც გუნდს შორის კი თბილისის „ამერი“ მეათეა, „ვიტ ჯორჯია“ — მეთერთმეტე. უეფამ „ამერი“, როგორც საქართველოს თასის მფლობელი, იმავე რეიტინგის მქონე ვიცე-ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიაზე“ წინ დააყენა. შესაბამისად, განთესილთა შორის „ამერი“ ხვდება, ვეტერინარები კი ცხრილის მარჯვენა ნახევარში გადაინაცვლებენ. აი, ყველაზე საინტერესო კითხვასაც მივადექით: შესაძლებელია თუ არა, კენჭისყრისას ორი ქართული გუნდი დაწყვილდეს? აღმოჩნდა, რომ ასეთ შემთხვევაში (საკვალიფიკაციო ეტაპებზე) უეფა არანაირ შეზღუდვას არ აწესებს და თუკი ერთი ქვეყნის წარმომადგენლები კენჭისყრისას ბადის სხვადასხვა ნახევარში აღმოჩნდნენ, მათი დაწყვილება სავსებით შესაძლებელია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართველებს რეალურად ორი კენჭისყრისკენ გვექნება ყურადღება: პირველი, როგორც გითხარით, 4 ივნისს პორტუგალიაში გაიმართება, მერე კი „ნაღდ“ კენჭისყრამდეც (23 ივნისამდე) აღარ დარჩება დიდი დრო.

შესაძლოა, უეფას თასზე ორი ქართული გუნდის დაპირისპირების პერსპექტივამ ბევრში ღიმილი (ეგებ, ირონიულიც) გამოიწვიოს. არადა, ნამდვილი „ფეარ პლეიც“ ეგ იქნება — ორი მატჩი ნეიტრალურ (მიხეილ მესხის სახელობის) სტადიონზე, ნეიტრალური (უცხოელი) მსაჯებით. ჰა, ბურთი, ჰა, მოედანი, თანაც, ერთი ჩვენი გუნდი უეფას თასის მეორე ეტაპზე უეჭველად გააღწევს...

საფიქრალი და განსასჯელი სხვა უფრო გვგონია: წლების განმავლობაში ქართული გუნდები განთესილთა შორის უპრობლემოდ ხვდებოდნენ, შედარებით სუსტ მეტოქეებთან უხდებოდათ ჭიდილი და უეფას კოეფიციენტთა ცხრილში მორიგი ქულების მოპოვებაც შედარებით იოლი იყო. ეს კი მომდევნო წელს ისევ განთესილთა შორის მოხვედრის წინაპირობა გახლდათ...

შეგახსენებთ, რომ უეფა საერთო კოეფიციენტს ბოლო ხუთ წელიწადში ნაჩვენები შედეგებით ითვლის. ანუ: საქართველოს კოეფიციენტს აკლდება ექვსი წლის წინ დაგროვილი ქულები და ემატება შარშანდელი. ჩვენ კი ხან „ტორსჰავნებს“ ვურიგეთ ეს ქულები, ხანაც „ბანანცებს“ ან უარესებს.

გიორგი ნოზაძე

გიორგი შაშიაშვილმა რომ ოდესის „ჩერნომორეცთან“ კონტრაქტი გააფორმა, გუშინ გაცნობეთ. „შაში“ ძალიან კმაყოფილია ახალი გუნდით და უკრაინულ ჟურნალისტს გულღიად ესაუბრება. გიორგი არ მალავს, რომ სანკტ პეტერბურგის „ზენიტიდან“ და შვეიცარიული „თუნიდანაც“ ჰქონდა მიწვევა, მაგრამ უკრაინის ჩემპიონატს იქ მოთამაშე ქართველი ლეგიონერებისგან უკეთ იცნობს და „ჩერნომორეცის“ არჩევანი ამანაც განაპირობა.
ჩვენ კი შაშიაშვილის პირველ უკრაინულ ინტერვიუს შემოკლებით გთავაზობთ...

თუნი, ზენიტი, გერმანია და მაინც ჩერნომორეცი

გიორგი შაშიაშვილი: ტოპმიოლერმა ნაკრები ამაცილა

— შარშან რუსულ პრემიერლიგაშიც მოსინჯეთ ძალები, თუმცა ცნობილი მიზეზების გამო „ალანიაში“ დიდხანს არ დარჩენილხართ...

— რაც ვლადიკავკაზში ხდებოდა, სიტყვებით ვერ აღვწერ. როცა „ალანიაში“ მივედი, კლუბში არასტაბილური ვითარება იყო, იცვლებოდნენ მწვრთნელები, პრეზიდენტები და საბოლოოდ გუნდი პრემიერლიგიდან გავარდა. ჩემთვის, ისევე როგორც ბურდულისთვის და დარასელიასთვის, „ალანიაში“ დარჩენა წარმოუდგენელი იყო.

— „ჩერნომორეცში“ ილია კანდელაკი და კახა მჟავანაძე თამაშობენ.. ალალად გვითხარით, ისინი რომ არა, „ჩერნომორეცში“ გადახვიდოდი?

— გადავიდოდი. არიან თუ არა გუნდში ქართველები, ეს გადამწყვეტი არაა. „ჩერნომორეცმა“ მიმიზიდა უკრაინაში დაკავებული მესამე ადგილით და უეფას თასზე თამაშის პერსპექტივით.

— უკრაინის ჩემპიონატზე ბევრი იცით?

— თითქმის ყველაფერი ვიცი. აქ ხომ ადრეც და ახლაც ბევრი ქართველი თამაშობს. უკრაინის ჩემპიონატში მაღალი დონეა, თუმცა თანამემამულეებისგან ვიცი, რომ აქ თამაში რთულია. სხვა საქმეა, რომ სირთულისა არ მეშინია.

— ოდესაში ორიოდ კვირის წინაც იყავით და, ალბათ, ქალაქსაც გაეცნობოდით. შთაბეჭდილებები?

— ოდესა ძველი, ლამაზი ქალაქია და ჩემზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. აქ ყველაფერი კარგია: ზღვა, თბილი ამინდი, სუფთა ჰაერი. ყველამ კარგად მიმიღო და მეტი რაღა დარჩა?

— „ჩერნომორეცის“ გარდა სხვა გუნდებიც გიწვევდნენ?

— მარტში ალბანეთ — საქართველოს ამხანაგური მატჩის შემდეგ შევიტყვე, რომ ერთ-ერთი გერმანული კლუბი დაინტერესდა ჩემით. როდესაც ოდესაში პირველად ჩამოვედი, დამირეკეს და შვეიცარიული „თუნის“ ვარიანტზე დამელაპარაკნენ. თუმცა ყველაზე კონკრეტული ვარიანტი „ჩერნომორეცი“ იყო და ყველას ვუთხარი, რომ ოდესურ კლუბთან უკვე შეთანხმებული ვიყავი.

— როგორც გვახსოვს, შარშან თქვენ „ზენიტში“ გადასვლაზეც იყო ლაპარაკი...

— შარშან ზაფხულს მქონდა „ზენიტში“ გადასვლის შანსი, ოღონდ გასინჯვაზე უნდა წავსულიყავი. თუმცა მე დავრჩი თბილისის „დინამოში“, რომელსაც უეფას თასის მატჩები ელოდა და სწორადაც მოვიქეცი. „დინამომ“ ჯგუფურ ეტაპზე გააღწია, სადაც „ნიუკასლს“, „სოშოსა“ და „სპორტინგს“ შევხვდით.

— როგორ დაიწყო თქვენი საფეხბურთო კარიერა?

— შეიძლება ითქვას, რომ როგორც ფეხბურთელი, ქუჩაში მიპოვეს. შემომთავაზეს თამაში და მალე აღმოვჩნდი ბავშვთა საფეხბურთო კლუბ „მთვარის გლობუსში“. ჩემი პირველი მწვრთნელი გია მაისურაძე იყო, 16 წლისა კი თბილისის „დინამოს“ ფარმ-კლუბებში მოვხვდი, მერე გავხდი ძირითადი გუნდის წევრი და „დინამოში“ შვიდი წელი გავატარე, თანაც აქედან ოთხი სეზონი კაპიტანი ვიყავი. საქართველოს ყველა ასაკის ნაკრები გამოვიარე.

— უკრაინის ნაკრები რამდენჯერმე შეხვედრია საქართველოს და, ალბათ, „ჩერნომორეცის“ თავკაცი სემიონ ალტმანი თქვენზე ინფორმაციებს აგროვებდა. ალტმანი ხომ ოლეგ ბლოხინის თანაშემწეა ნაკრებში...

— დიახ, ასეც იყო. ალტმანმა მითხრა, უკრაინამ შინ ამხანაგურ მატჩში 2:1 რომ მოუგო საქართველოს, იქიდან მახსოვხარო... მე მაშინ ცენტრალურ მცველად ვთამაშობდი.

— და ყოველთვის ამ პოზიციაზე თამაშობთ?

— ძირითადად ასეა. მარჯვენა მცველადაც მითამაშია, მაგრამ უფრო დამაჯერებლად ცენტრში ვგრძნობ თავს. ალტმანმაც ამ პოზიციაზე სათამაშოდ მიმიწვია „ჩერნომორეცში“.

— საქართველოს ნაკრები 27 მაისს ახალ ზელანდიასთან, 31-ში კი პარაგვაისთან თამაშობს, თქვენ არ იქნებით ამ მატჩებში?

— ნაკრების მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერს ავუხსენი, რომ 24-25 მაისს ოდესაში მელოდნენ დავთხოვე, „ჩერნომორეცთან“ კონტრაქტის გასაფორმებლად გავეშვი. ტოპმიოლერმა მითხრა, არაა პრობლემა. მე შენი თამაში ვნახე ალბანეთთან, შენ ნაკრების სრულუფლებიანი წევრი ხარო. ერთი სიტყვით, 27-ში ახალ ზელანდიასთან ვერა, 31 მაისს კი პარაგვაისთან, შესაძლოა, ვითამაშო.

ტატანაშვილს არც უფიქრია

ერთმა პენალტმა ფელიფადი გადაფონა

დიმიტრი ტატანაშვილი საფეხბურთო სამყარომ ორიოდ წლის წინ თბილისის „სპარტაკში“ თამაშისას გაიცნო. იმ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გასული სეზონის წინ „ამერში“ გადავიდა და ახალბედადან საქართველოს თასის მფლობელამდე არცთუ იოლი გზა გაიარა. იყო ტრავმაც, მარცხიც, მაგრამ გამარჯვებებიც იყო და ახლა რომ ჰკითხოთ, ყველაზე დასამახსოვრებელი 13 მაისს თასის ფინალში „ზესტაფონის“ კარში გატანილი პენალტია...

— ამ სეზონში მაინცდამაინც ხშირად არ გიწევდა ძირითად შემადგენლობაში თამაში...

— ზუსტად ნამდვილად არ მახსოვს, ალბათ უმაღლესი ლიგის და თასის გათამაშების ათამდე მატჩში ვითამაშე, სასტარტოში კი, თუ არ ვცდები, მხოლოდ ბოლნისის „სიონთან“ პირველი წრის შეხვედრაში ვიყავი.

— აქედან გამომდინარე, ელოდი თუ არა, რომ თასის ფინალში მოედანზე გასვლა მოგიწევდა?

— ველოდი და იმედი მქონდა, რომ შეცვლაზე ვითამაშებდი.

— ძირითადი დროის ბოლო წუთებში აშკარად ჩანდა, რომ ბურთის მაქსიმალურად დაჭერა გევალა...

— დაცვას უნდა დავხმარებოდი და ბურთი დამეჭირა, ბევრი უნდა მემოძრავა — ასეთი იყო მწვრთნელის დავალება.

— რას გრძნობდი, როცა ბოლო წუთზე „ზესტაფონმა“ ანგარიში გაათანაბრა?

— ფსიქოლოგიურად ძალიან რთული მომენტი იყო. იმ გოლის შემდეგ თამაშის შემობრუნება და გამარჯვება თითქმის წარმოუდგენელი ჩანდა. მადლობა ღმერთს, მთელმა გუნდმა შეძლო მობილიზება და ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ დასრულდა.

— პენალტების სერიაში დარტყმა თავად გადაწყვიტე თუ მწვრთნელმა გთხოვა?

— გიორგი ჩიხრაძემ მკითხა, მზად თუ ხარ დასარტყმელადო. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ გავიტანდი და დავთანხმდი.

— ფინალამდე ალბათ ვარჯიშობდით პენალტებში, მაგრამ ოფიციალურ მატჩებში რამდენად ხშირად დაგირტყამს თერთმეტმეტრიანი?

— რა თქმა უნდა, ფინალამდე ყოველი ვარჯიშის შემდეგ ვასრულებდით პენალტებს. ოფიციალურ შეხვედრებს რაც შეეხება, ბევრი არ დამირტყამს, მაგრამ გაფუჭებითაც არასოდეს გამიფუჭებია.

— წელიწადია, „ამერში“ ხარ. როცა უმაღლესი ლიგის დებიუტანტ გუნდში გადადიოდი, თუ ფიქრობდი, რომ ასე მალე გაივლიდი გზას საქართველოს თასის მფლობელის ტიტულამდე?

— „ამერში“ გადასვლა იმიტომაც გადავწყვიტე, რომ პერსპექტიულ გუნდად მიმაჩნდა. საქართველოს თასის მოპოვება მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ჩვენ ყველაზე კარგად ვიცით, ეს რამხელა შრომის შედეგია.

— თავდასხმის ხაზში კონკურენციის გამო თამაში იშვიათად გიწევს და გუნდის გამოცვლაზე ხომ არ გიფიქრია?

— კონკურენცია, პირიქით, გვეხმარება, რომ მობილიზებულები ვიყოთ, საბოლოო ჯამში კი ამით ისევ ჩვენი ოსტატობა იმატებს. „ამერიდან“ წასვლა? კონტრაქტით კიდევ ორი წელი უნდა ვიყო გუნდში და აქედან წასვლაზე წამითაც არ მიფიქრია.

გიორგი ნოზაძე

სერბებმა პორტუგალიასთან ამოიღეს

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მოამავალმა მეტოქე სერბეთმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პირველი მატჩი მოიგო — დრაგომირ ოკუკას გუნდმა პირველ ტურში გერმანიასთან 0:1 წაგებას მასპინძელ პორტუგალიასთან 2:0 გამარჯვება შეუნაცვლა. ამ მატჩში ანგარიში პორტუგალიელმა კასტრომ გახსნა, როცა მე-17 წუთზე საკუთარ კარში ააფართხალა ბურთი, მეორე გოლი კი მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველმა ბრატისლავ ივანოვიჩმა 65-ე წუთზე შეაგდო თავით.

სერბები A ჯგუფში მეორე ადგილზე არიან — ჯგუფის მეორე შეხვედრაში საფრანგეთმა 3:0 გაანადგურა გერმანია. ფრანგებს 6 ქულა აქვთ, სერბებს და გერმანელებს 3-3, პორტუგალიას კი 0. დღეს, ჯგუფის ბოლო ტურში, სერბებს „მამლებთან“ მხოლოდ მოგება აძლევთ ხელს, რათა ნახევარფინალში გავიდნენ.

პორტუგალიასთან კი საქართველოს მომავალმა მეტოქემ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *სტოიკოვიჩი, ივანოვიჩი, სტეპანოვი, ბიშევაცი, ლომიჩი, ბასტა (მილოვანოვიჩი 90), ტოდოროვიჩი, კრასიჩი, მილიაში, ივანოვიჩი, პუროვიჩი.*

ილია ნანოგაფვილი

კლინსმანის გერმანული მანქანა მეხუთე სიჩქარით იჭრიალებს

იურგენ კლინსმანი ბოლომდე მიანვებაო, ამბობენ. 41 წლის მწვრთნელი არც მალავს, რომ ერთადერთი მიზანი აქვს, მსოფლიოს ჩემპიონობა. სწორედ ამაზე, თავის შემტევ სტილზე და სხვა საკითხებზე ელა-პარაკა კლინსმანი ჟურნალ „შპიგელს“ და ამ ინტერვიუს თარგმანს ქვემოთ გთავაზობთ



— რას გააკეთებთ 9 ივლისს?

— იმედი მაქვს, რომ მსოფლიოს ჩემპინატის ფინალის მონაწილე ვიქნები.

— რამდენად ძლიერად გწამთ, რომ ჩემპიონები გახდებით?

— ათასი პროცენტით მწამს, რომ რაიმეს მივაღწევთ. ჩვენი მომავალი წარმატების საწინდარიც სწორედ ეს რწმენაა.

— და ეს განცხადება რეალისტურია?

— კაცმა რომ თქვას, მიზნის მიღწევა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგრამ ჩვენ ახალგაზრდა გუნდი გვყავს და ის სწორედ ახლა ძლიერდება. ჩვენს გუნდში ყველა მიზანმიმართულად მუშაობს და თავისი საქმით სიამოვნებას იღებს.

— ჩემპიონატის წინ გერმანელ ქომაგს რას ჰპირდებით?

— შემიძლია დავპირდე, რომ გუნდი ძალ-ღონეს არ დაიშურებს, გულშემატკივარი რომ გაახაროს. მთელს ჩემპიონატს მეხუთე სიჩქარით გავივლით.

— ესე იგი, თუ სწორად გვესმის, მეტოქის მიუხედავად თქვენ შემტევი ფილოსოფიის ერთგული დარჩებით.

— გამორიცხულია, ჩვენ რომ რამე შევცვალოთ. ბრაზილიასაც რომ შევხვდეთ, დაცვაში არ ჩავდგებით. ჩვენ ყველა ვარიანტში შევუტევთ და მეტოქეს მოვაქცევთ ზეწოლის ქვეშ, თუმცა ამ სტილში თამაში ჯერ კიდევ კარგად უნდა ვისწავლოთ. ამწუთას ამაზე ძალიან ინტენსიურად ვმუშაობთ.

— თქვენი აზროვნების წესიდან გამომდინარე, ალბათ, დამარცხება საერთოდ ვერ წარმოგიდგენიათ.

— დამარცხება ერთხელაც არ გვიხსენებია. ფეხბურთელებს ნიადაგ იმას ვუხსნი, რომ ეს თამაშები ჩემპიონთა ლიგის საშინაო თამაშებს უნდა შეადარონ. ჩვენ ხომ ყველა მატჩი შინ გვაქვს.

— პროგრამა მინიმუმი თუ გაქვთ?

— ჩვენთან ასეთი ვერაფერი იარსებებს. არის მხოლოდ მაქსიმუმი ანუ მსოფლიოს ჩემპიონობა.

— რატომ?

— პროგრამა მინიმუმს რომ ადგენ, შემდეგ საფეხურზე იყინები, არადა გუნდი სულ მაღლა, დაუსრულებლად მაღლა უნდა მიიწევდეს. მეოთხედფინალში გასულმა მერვედფინალის გასწვრივ ჯვარი არ უნდა დასვა. უკან მოხედვა არაფრით შეიძლება, ეს მცდარი პოსტულატია.

— გერმანიის ნაკრები ადრე თუ გავარდება, ამერიკაში გაიქცევით და მორჩა, არა?

— გეგმის თანახმად გერმანიაში 11 ივნისამდე დავრჩები. ჩემს ოჯახსაც ამ დღეს აქვს თვითმფრინავი შეკვეთილი, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი სიტუაციის მიხედვით განვითარდება. თუმცა ასეთ რამეებზე ფიქრის დრო უბრალოდ არ მაქვს.

— ხოლო თუ გერმანია ჩემპიონი გახდება, ნაკრების მწვრთნელის პოსტზე დარჩებით?

— გიმეორებთ, ყველაფერი სიტუაციის მიხედვით გაირკვევა.

დავიდე ლიპი

ლიპი ლიპიზე არ იდარდებს

საინტერესოა, როგორ არ უნდა იმოქმედოს ამან მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში იტალიის ნაკრების გამოსვლაზე — „სკუადრა აძურას“ მწვრთნელ მარჩელო ლიპის ვაჟი დავიდე ლიპი ბოლოდროინდელი საყოველთაო სკანდალის გამოძიებამ ერთ-ერთ ეჭვმიტანილად გამოაცხადა. არადა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იტალიური დელეგაციის მტკიცებით დავიდე ლიპის ამბავი მათი ნაკრების თამაშზე არანაირად არ აისახება.

დავიდე ლიპი და „სარბიელში“ უკვე მრავალჯერ ნახსენები საagენტო **GEA**-ს სამი თანამშრომელი — ჯუზეპე დე მიტა, რიკარდო კალერი და ტომაზო ჩელინი — სასამართლოს ვერ აცდენენ. მათ ბრალად ფეხბურთელების გუნდიდან გუნდში გადაყვანის საქმეში მუქარისა და ძალადობის გამოყენებას უყენებენ. პროკურატურაში ეჭვი აქვთ, რომ ჩამოთვლილი ვაჟბატონები ფეხბურთელებს შიშის ქვეშ აწერინებდნენ სხვადასხვა კლუბებთან კონტრაქტებზე ხელს.

მსოფლიოს ჩემპიონატზე აბარგებული იტალიის ნაკრების გუნდის შეფმა ჯანკარლო აბეტემ საagენტო **ANSA**-სთან საუბარში განაცხადა:

„მარჩელო ლიპი გასაოცარი ნებისყოფისა და მორალის ადამიანია, რომელსაც ნებისმიერი უსიამოვნო ცნობის დათრგუნვა შეუძლია. აქედან გამომდინარე გარწმუნებთ, რომ იტალიის ნაკრებს ეს ამბავი არანაირად არ შეეხება“.

შეგახსენებთ, რომ ზემოხსენებული საagენტო „იუვენტუსის“ ყოფილი გენერალური დირექტორის, ლუჩანო მოჯის ვაჟის, ალესანდრო მოჯის ხელმძღვანელობით ყიდულობდა და ყიდდა ფეხბურთელებს.

პაპუნა კედია

ელ ღამურო

„ვალენსიას“ სპორტულმა დირექტორმა ამადეო კარბონიმ პირველი ტრანსფერი განახორციელა. იგი ინგლისურ „ლივერპულს“ შეუთანხმდა და ფერნანდო მორიენტესი მომავალი სამი სეზონის განმავლობაში „მესტალიაზე“ იბურთავებს. „ლივერპული“ „ელ მოროს“ სანაცვლოდ თავიდან 6 მილიონ ევროს ითხოვდა, თუმც დაინტერესებული მხარეები საბოლოოდ 5 მილიონზე შეთანხმდნენ.

კარბონის მოლაპარაკების გაჭიანურება არ უნდოდა, რათა, მრავალი უცხოური კლუბის სასურველი მორიენტესი სწრაფად ჩაეგდო ხელში და ვალენსიური ინჩადა გაეხარებინა. ვალენსიელები „ელ მოროში“ 4 მილიონი ევროს გადახდას გეგმავდნენ, ინგლისელები კი, როგორც მოგახსენეთ, ექვსს ითხოვდნენ.

მადრიდის „რეალის“ ყოფილი ვარსკვლავი, როგორც ესპანური მედია აცხადებს, „ღამურებთან“ გადაბარგებით კმაყოფილი უნდა იყოს. „ვალენსიამაც“ ამ ტრანსფერით ფრიად მოიგო — „მესტალიაზე“, დავიდ ვილიას გვერდით კიდევ ერთი ჩაუქი მეგოლე ითამაშებს.

ლადო ხომერიკი

რუნი სკანერზე მერვედფინალშია

უეინ რუნი მსოფლიოს ჩემპიონატზე ეროვნულ ნაკრებთან ერთად იქნება, მაგრამ ინგლისელებს სულ მცირე, სამი კვირა ვერ დაეხმარება. ამ პერიოდის მერე კი 20 წლის ფეხბურთელი ვარჯიშს დაიწყებს.

„რუნის ფეხის მორიგმა სკანირებამ აჩვენა, რომ იგი დაახლოებით სამი კვირა ბურთს ვერ მიეკარება. შემდეგი გამოკვლევა 14 ივნისს ჩაუტარდება და დანარჩენზე მერე ვისაუბროთ. ჯერჯერობით ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს“ — ნათქვამია „მანჩესტერის“ ოფიციალურ განცხადებაში.

ინგლისელები მუნდიალს 10 ივნისს პარაგვაისთან მატჩით იწყებენ და რუნის შეცვლის უფლება ამ შეხვედრამდე 24 საათით ადრე აქვთ. თუმცა ნაკრების მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი, როგორც ჩანს, ამას არ აპირებს, მუხედავად იმისა, რომ, ექიმების თქმით, საუკეთესო შემთხვევაში რუნი თამაშს მერვედფინალში შეძლებს და ამ დროისთვისაც იქნება თუ არა სათანადო ფორმაში, უცნობია.

„რუნი კლუბში ვარჯიშს გააგრძელებს და ნაკრებთან ერთად გერმანიაშიც წამოვა. 14 ივნისს იგი მანჩესტერში დაბრუნდება და მორიგ შემოწმებას გაივლის. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება ანუ უეინი მუნდიალზე თავის წვლილს შეიტანს“ — თქვა ინგლისის ნაკრების თავკაცმა სვენ გორან ერიკსონმა.

გიორგი კაკაბაძე

მოგება თუ გინდა, კბილის პასტა მათხოვე
გოიკოეჩეა შორტის ტოტებს აიწევდა...



ჩემზე წყევლა ვერ იმოქმედებს, რადგან საცვალი უკუღმა მაცვია — ამ სიბრძნეს ფეხბურთელის გარდა ვინ იტყოდა? ათასგვარ კულტურასა და რწმენას შორის ფეხბურთელთა რწმენა და კულტურა უნიკალურია, ხოლო სიტყვები, რომლითაც წერილი დავიწყეთ, „იუვენტუსისა“ და რუმინეთის ნაკრების ვარსკვლავს, ადრიან მუტუს ეკუთვნის. წინ კი, სადაცაა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყება და... მოდი აფრიკულ ქვეყნებსა და შამანებს თავი დავანებოთ, გჯერათ, რომ თუნდაც ევროპული ნაკრებები კარგად დაცდილი რიტუალებისა და საგნების გარეშე ჩავლენ გერმანიაში?

13 ზაგალოსია

დავიწყოთ ესპანეთიდან, სადაც ცრურწმენების ნიადაგზე ერთი საინტერესო ამბავი უკვე მოხდა — მწვრთნელმა ლუის არაგონესმა არც მეტი არც ნაკლები, რაულს ერთი ამბავი დააწია, როგორ გაბედე და ვარჯიშზე ყვითელი მაისურით როგორ მოხვედი, ნუთუ არ იცი, რომ ყვითელი ცუდის ნიშანიაო.

კარგია არა? თურმე ყვითელი ცუდის ნიშანი ყოფილა. მაშ ბრაზილია? განა ყვითელი მაისურებით არ თამაშობს, ასი წელიწადია, ბრაზილიის უკვე ხუთგზის ჩემპიონი ნაკრები? მაგრამ, ვის რა... თავისი წილი ჩხიბვა ბრაზილიასაც სჭირდება, აბა მეექვსედაც ხომ უნდა გახდეს ჩემპიონი. და რა არის საჭირო მეექვსედ ჩემპიონობისთვის? რა და ზაგალოს მუდმივი კავშირი რიცხვ 13-თან.

„კარიერა ცამეტნომრიანი მაისურით დავიწყე, რადგან ის 13 ივნისს მომცეს, წმინდა ანტონის დღეს“ — ამბობს ზაგალო და სრულიად დარწმუნებულია, რომ ბრაზილია ისევ ჩემპიონი გახდება. რატომ? თურმე ნუ იტყვით და იმიტომ რომ გუნდის დღევანდელი მწვრთნელის სახელი, კარლოს ალბერტო, ცამეტი ასოსგან შედგება და კიდევ იმიტომ, რომ ბრაზილია ხორვატიას 13 ივნისს ხვდება.

სიგიჟეა? მაგრამ არგენტინის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს, კარლოს ბილარდოს რომ სჭირდა, ვითომ უკეთესი იყო? 1982 და 1986 წლებში ერთი და იგივე ჰალსტუხი ეკეთა და 86-ში კბილის პასტას ყოველ დილით ერთსა და იმავე ფეხბურთელს ართმევდა, იმიტომ, რომ პირველ დღეს რაღაცის გამო ეთხოვა და ამან გამარჯვება მოუტანა.

სულ სხვა დონე იყო ჯოვანი ტრაპატონი. რა კბილის პასტა, რის ცამეტი, მისი და მონაზონი გახლავთ და ძმას საგანგებოდ ატანდა წმინდა წყალს, რომელსაც დონ ჯოვანი მიაპკურებდა ხოლმე მუნდიალის დღეებში.

ფრანგთა ახლანდელი თავკაცი რაიმონ დომენეკი კი ნაკრებში გამოძახების წინ ფეხბურთელებს ჰოროსკოპის ნიშნებს ეკითხება და მორიელებს არ სწყალობს. მაგალითი გნებავთ? რობერ პირესი.

„მორიელები თავს იკლავენ“ — ამბობს დომენეკი.

ახლა იოან მიკუს მოვუსმინოთ: „დომენეკი 21 წლამდელთა ნაკრებში მწვრთნიდა, მაგრამ მას მერე აღარ გამოვუძახივარ, ალბათ იმიტომ, რომ ზოდიაქოთი ლომი ვარ, ასეთები კი უკვე ჰყავს და გადამეტება არ უნდა“.

ადრიან მუტუ

ტერი 50

ახლა, იმისათვის, რომ ჩემპიონატის წინ სრული სურათი დავხატოთ, მწვრთნელებიდან ფეხბურთელებზე გადავინაცვლოთ. ალბათ გახსოვთ, როგორ კოცნიდა ლორან ბლანი მეგობარ ფაბიენ ბარტეზს მელოტ თავზე რამდენიმე წელიწადი და გაამართლა კიდეც, ფრანგები მსოფლიოს ჩემპიონებიც გახდნენ და ევროპისაც. მაგრამ ბლანი მარტო არაა, ვისაც ესა თუ ის ქცევა ჰქონია აჩემებული. მაგალითად, 1966 წელს ინგლისელი ბობი სტაილსი დიდი მოთმინებით ისვამდა რაღაც ზეთს სახესა და ხელებზე და ეს ხანგრძლივი რიტული გახლდათ. ბობი ჩარლტონს მოთელვაზე აუცილებლად გაჰქონდა გოლი, თამაშის მიწურულს კი სახვევებს იცვლიდა. გარი ლინეკერი თავად გვიამბობს:

იოან მიკუ

„მოთელვებზე კარში არასდროს ვარტყამდი, რადგან რომ ამეცილებინა, დავითარსებოდი, დარტყმები თამაშისთვის უნდა შემენახა. გარდა ამისა, თუ პირველ ტაიმში გოლს ვერ გავიტანდი, შესვენებაზე მაისურას აუცილებლად ვიცვლიდი, ხოლო თუ გავიტანდი, მეორე ნახევარსაც იმავე მაისურით ვთამაშობდი. თუ ზედიზედ რამდენიმე თამაშის განმავლობაში ვერ გამქონდა გოლი, თმას ვიჭრიდი“.

და ახლანდელი ინგლისელები? მაგალითად რას აკეთებს ჯონ ტერი?

„ძალიან ცრუმორწმუნე ვარ — ამბობს იგი — ავტობუსში ერთსა და იმავე ადგილზე ვჯდები, გეტრებს სამჯერ ვახვევ სახვევს და თამაშზე რომ მივდივარ, მანქანაში ერთსა და იმავე სიდის ვუსმენ“.

ხოლო ძველ არგენტინელ მეკარე სერხიო გოიკოეჩეაზე ამბობენ პენალტების წინ შორტების ტოტებს აიწევდა და პირდაპირ მოედანზე შარდავდაო. მართალია ვითომ?

პაპუნა ძიდია

მანჩინის ხელში ბავშვები შერჩა.



„ინტერის“ მწვრთნელი რობერტო მანჩინი დარწმუნებულია, რომ დადგა ისეთი გუნდის შექმნის დრო, რომელსაც ზედ Made in Italy შეიძლება მიაკრა. განა, რა შეხსენება უნდა, რომ შავ-ლურჯებს დიდი კრიტიკა დაატყდათ თავს და ამ კრიტიკის ძირითადი თემა უცხოელ ფეხბურთელთა არანორმალურად დიდი რაოდენობა იყო.

„მინდა ჩემი „ინტერი“ იტალიური გუნდი იყოს — თქვა მანჩინიმ „გაძეტა დელო სპორტთან“ ინტერვიუში — ბოლოს და ბოლოს არავის, იტალიელი ბავშვის გარდა არ ესმის რას ნიშნავს სკუდეტოს მოგება. გადახედეთ ევროპას. „ჩელსიცა“ და „მანჩესტერ იუნაიტედიც“ ინგლისელ ფეხბურთელებზე დაფუძნებული გუნდებით თამაშობენ. თუ გნებავთ მიუნხენის „ბაიერნის“ მაგალითი განვიხილოთ, თუ გნებავთ „ლიონის“...

და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მანჩინის მოთხოვნას „ინტერის“ ხელმძღვანელობაც ეთანხმება. იტალიურ პრესაში დაირხა ხმები, რომ შავ-ლურჯები დანიელე დე როსის, ფაბიო გროსოსა და ლუკა ტონის შეძენას აპირებენ.

„გროსოს შეძენა აშკარად სასარგებლო იქნება ჩვენთვის, თუმცა ვნახოთ როგორ წავა საქმეები — განაგრძობს მანჩინი — სიამოვნებით ვუხელმძღვანელებდი ტონისა და დე როსისაც. როგორც კი სკანდალი ჩაცხრება მრავალი საინტერესო ტრანსფერი განხორციელდება“.

და რა თქმა უნდა, შეეხნენ ადრიანოს თემასაც. მანჩინიმ განაცხადა, რომ მიუხედავად ადრიანოს პირადი პრობლემებისა ის იმედოვნებს, რომ ბრაზილიელი გუნდში დარჩება.

„არ ვიცი, რატომ ატყდა ასეთი ამბავი.ის ყოველთვის შემადგენლობაში მყავდა, მაშინაც კი, როდესაც ცუდ ფორმაში იყო. მწამს, ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში მოყოჩაღდება და არანაირ წასვლაზე აღარ იქნება ლაპარაკი“ — დაავგირგვინა მწვრთნელმა.

პაპუნა ძიდია

კოშტა გაარწივდა

მანუელ რუი კოშტამ საწადელი აისრულა და „ბენფიკაში“ დაბრუნდა. „მილანის“ უფროსობასთან საუბრის შემდეგ გადაწყდა, რომ უმჯობესი იქნებოდა, კონტრაქტი გაეწყვიტა და ვეტერანი პორტუგალიელი პლეიმეიკერიც ლისაბონში გაფრინდა.

34 წლის რუი კოშტამ „არწივებთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, კიდევ ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით. შეგახსენებთ, რომ იგი კარიერის დასრულებას „ბენფიკაში“ აპირებს, სადაც სამი წელი გაუტარებია, სანამ „ფიორენტინაში“ გადავიდოდა. ფლორენციელთა რიგებში იგი ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად იქცა, ხოლო 2001 წლის ივლისიდან „მილანში“ თამაშობდა. „როსონერიმ“ მას ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა, რომელიც მერე 2007 წლამდე გაუხანგრძლივა. სანაკრებო კარიერა კოშტამ 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დაასრულა.

„ძალიან მიხარია, რომ ფანებმა და ფეხბურთელებმა თბილად მიმიღეს. დაბრუნება დიდი ხანია მინდოდა. იმედი მაქვს, ძველებურად ავთამაშდები“ — განაცხადა რუი კოშტამ.

ქოქი ქანდელაკი

ამხანაგური მატჩი

სათადარიგო ინგლისელებმა ბელორუსთან წააგეს

რობერტ გრინი ნაკრებს ნაადრევად დაემშვიდობა

ერიკსონის ბე

ინგლისი B 1:2 ბელარუსი

1:0 ჯენასი (35), 1:1 კუტუზოვი (50), 1:2 კორნილენკო (81)

ინგლისი B: ჯეიმსი (გრინი 46; კარსონი 53), ჰარგრივსი, კემპბელი, კარაგერი, ე. კოული, ლენონი, ჯენასი (უოლკოტი 62), კარიკი, დაუნინგი (დეფო 79), ოუენი (ჯ. კოული 61), კროუჩი (დოუსონი 79)

მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი

ბელარუსი: ჟევნოვი (ხომუტოვსკი 46), კულიჩი, ლენცევიჩი, ომელიანჩუკი, შტანიუკი, კორიცკო, იურევიჩი (შაგოიკო 61), ბულიგა (კორნილენკო 46), რომაშჩენკო (კაშევსკი 74), კალაჩევი(პანკოვეცი 80) კუტუზოვი (კონცევოი 64)

მწვრთნელი: ედუარდ მალოფეევი

გაფრთხილება: რომაშჩენკო, ომელიანჩუკი, ომელიანჩუკი

გაძევება: ომელიანჩუკი (73)

მსაჯი: დერილ მაკკეოვნი (ირლანდია)

22 032 მაყურებელი

ინგლისის ნაკრების მარცხი ბელარუსთან, თუნდაც მეორე შემადგენლობით, მოულოდნელი ამბავია. წაგებას მესამე მეკარის, რობერტ გრინის ტრავმაც დაერთო. გრინი შვიდი წუთის შესული იყო მეორე ტაიმში, როცა ნახტომისას საზარდული იტკინა... „ნორვიჩის“ მეკარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ვეღარ წავა, მის ადგილს კი „მანჩესტერის“ ბენ ფოსტერი დაიკავებს.

„გრინის ტრავმამ ყველა დაგვაღონა, მაგრამ ჩვენ გვყავს თადარიგში კარსონი. ის საკმაოდ კარგი მეკარეა“ — თქვა ერიკსონმა.

ბელარუსი ბოლო 17 წუთი კაცნაკლული იყო, რადგან ომელიანჩუკი გააძევეს. ათკაცა მეტოქის კართან კი ინგლისელებმა საგოლე მომენტი ვერ შექმნეს.

ერიკსონს ყველაზე მეტად მაიკლ ოუენისა და ყმაწვილი თეო უოლკოტის თამაში აინტერესებდა. ოუენს ტრავმის გამო წლეულს „ნიუკასლში“ მხოლოდ 29 წუთი ჰქონდა ნათამაშები, ხოლო არსენალელმა უოლკოტმა პირველად მოირგო ეროვნული გუნდის მაისურა. მეხუთე წუთზე ნიუკასლელი ფორვარდი მეკარესთან პირისპირ გავიდა და ვერ გაიტანა. ინგლისელთა შორის გამოირჩეოდა ტოტენჰემელი აარონ ლენონი, ვინაც 90 წუთი დაჰყო მოედანზე. ლენონი სისწრაფით ჩაგრავდა მცველებს და ორჯერ საგოლე მომენტიც შექმნა. მასპინძლების გოლი საჯარიმოს მოჰყვა. მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს ოუენმა თავი დაჰკრა, ბურთი კი ხარიხამ მოიგერია და ჯენასმა დაამატა.

მეორე ტაიმის დასაწყისში კუტუზოვმა გრინის შეცდომით ისარგებლა და გაათანაბრა, ამის მერე კი 17 წლის თეო უოლკოტი შევიდა ჯენასის ნაცვლად და რამდენიმე ეპიზოდში ტაშიც დაიმსახურა. დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე ინგლისელ მცველებს კორნილენკო გაექცათ, მარცხნიდან შევიდა საჯარიმოში და შორ კუთხეში გაუტანა კარსონს.

„ბევრი პოზიტიური რამ ვნახე — თქვა ნამატჩევს ერიკსონმა — მაიკლ ოუენი კარგად გამოიყურებოდა. ის უკვე მზადაა და არანაირი პრობლემები აღარ აქვს. ახალგაზრდებიც საუცხოოდ გაისარჯნენ, ხოლო ლენონი გამორჩეულად მომეწონა, რადგან თავდაჯერებულად თამაშობდა“.

ჰაკან იაკინი

კუნმა კონფლიქტს გაკვეთილი ჩაუტარა

შვეიცარიელი თავდამსხმელი იოჰან ვონლანტენი მსოფლიოს ჩემპიონატზე ალბათ ვეღარ ითამაშებს. ჰოლანდიური „ბრედას“ 20 წლის ფორვარდს ნაკრების ერთ-ერთი ვარჯიშისას ტრავმა გაუმიზეზდა და, ექიმების ვარაუდით, ერთი თვე მაინც მოუწევს უქმობა. მას „იანგ ბოისის“ პლემიეიკერი ჰაკან იაკინი შეცვლის, რომლის მუნდიალს მიღმა დარჩენითაც ბევრი გაკვირვებული იყო. დაშავებული ფეხბურთელის შეცვლის უფლება ნაკრებებს, ჩემპიონატის პირველ მატჩამდე 24 საათით ადრე აქვთ.

„გუნდში ცვლილებებს ჯერ არ ვაპირებ, თუმცა ჰაკან იაკინი შემოგვიერთდება და შესაძლოა, შაბათს კოტ დივუართან ამხანაგური მატჩშიც ითამაშოს. იოჰანი ჩვენთან ერთად დარჩება და უახლოეს დღეებში ექიმები უფრო ზუსტ დიაგნოზს დასვამენ“ — განაცხადა შვეიცარიელთა თავკაცმა კობი კუნმა.

ჟურნალისტებმა კუნს, მისი და იაკინის კონფლიქტზე ისევ დაუსვეს კითხვები. „ბაზელის“ ყოფილ ფეხბურთელს ცოტა რთული ხასიათი აქვს და კუნმა სწორედ ამით ახსნა 23-კაციან განაცხადის მიღმა მისი დატოვება.

კობი კუნი: „ჰაკანი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ თუ ნიჭიერი მოთამაშე სათანადოდ არ იქცევა, იგი გუნდს სარგებელს ვერ მოუტანს. ჩვენი კონფლიქტი ძალიან გაბუქებული იყო. სინამდვილეში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. დაველაპარაკები და იმედია, ყველაფერი საბოლოოდ მოგვარდება. იაკინმა უკვე მიიღო კარგი გაკვეთილი“.

კოკი კანდელაკი

ასიერის მყესი

ესპანეთის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის“ მცველმა ასიერ დელ ორნომ ერთ-ერთ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო, რომელმაც შეიძლება მუნდიალი გამოატოვებინოს. „დელ ორნოს მყესი აქვს დაშავებული. „პირდაპირ გეტყვით, თუ მოვლენები არასასურველად წარიმართა, ეგებ ფეხბურთელმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშოს“ — განუცხადა ჟურნალისტებს ესპანეთის ნაკრების ექიმმა ხენერო ბორასმა.

ბასკი უკანახაზელის სამუნდიალო ბედი ორშაბათამდე არ გაირკვევა. ხსენებულ დღეს კი დოქტორი ბორასი თავის საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს. „საქმეს რეალისტურად უნდა შევხედოთ. იმედია, ასიერ დელ ორნოს ტრავმა მოურჩება. თუმცა დიდია შანსი იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვოს“ — ამბობს ნაკრების ექიმი.

იმ შემთხვევაში, თუ დელ ორნომ გამოჯანმრთელება ვერ შეძლო, კასტილიელთა მწვრთნელი ლუის არაგონესი გერმანია 2006-ზე საომრად დეპორტივოელ ხუან კაპდევილიას ან „ხეტაფეს“ მარიანო პერნიას წაიყვანს.

ლადო ხომერიკი

ამერიკამ ბერჰალტერი შეუკვეთა

გრეგ ბერჰალტერი

ამერიკის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე 26 წლის კორი გიბსი ვეღარ დაეხმარება. გიბსი, რომელმაც ინგლისურ „ჩარლტონთან“ ახლახან მოაწერა წინასწარ კონტრაქტს ხელი, მაროკოსთან ამხანაგურ შეხვედრაში დაშავდა. მართალია, მან შეუცვლელად ითამაშა, მაგრამ შემდგომ, ექიმებმა მუხლის ტრავმა დაუდგინეს. გიბსის ნაცვლად ნაკრებში გერმანული „კოტბუსის“ კაპიტანი გრეგ ბერჰალტერი გაემგზავრება.

„კორის გამო ძალიან ვწუხვარ. ძალიან დაგვაკლდება. პირველი მუნდიალისთვის დიდი მონდომებით ემზადებოდა. ამასთანავე, ბედნიერი ვარ, რომ გვყავს ისეთი გამოცდილი და მაღალი კლასის ფეხბურთელი, როგორიც ბერჰალტერია. მისთვის ეს მეორე მსოფლიოს ჩემპიონატი იქნება და მჯერა, ჩინებულად გაირჯება“ — აღნიშნა აშშ-ის მწვთრნელმა ბრიუს არენამ.

გიბსი ამერიკელთა დაცვის ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა. ეროვნულ ნაკრებში მისი დებიუტი 2003 წელს შედგა და 19 მატჩი მოუგროვდა. 32 წლის ბერჰალტერს კი ამერიკის მაისურით 44-ჯერ უთამაშია.

შეგახსენებთ, რომ ეს უკვე მეორე მცველია, რომელიც აშშ-ს მაისში დაკლდა. იქამდე, ასევე მუხლის ტრავმა, კიდევ ერთმა ცნობილმა ამერიკელმა ვრენკო ჰეიდუკმა მიიღო, რომელიც კრის ოლბრაითმა შეცვალა.

გიორგი კაკაბაძე

დადე სული და გული

ხაბი ალონსოს, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს, მუნდიალებზე ესპანეთის ნაკრების საბედისწერო მეოთხედფინალური ბარიერი სასაცილოდ არ ჰყოფნის — ჯერ მეოთხედფინალში გავიდეთ და მერე ვნახოთ, უილბლოს და დათარსულს ჩვენ დაგვიძახებენ, თუ ესპანეთის მეტოქეს — უთხრა ხაბიმ „მარკას" ჟურნალისტს



— რას ნიშნავს თქვენთვის სიტყვა მუნდიალი?

— საფეხბურთო დონეზე უმაღლესი შეჯიბრია და ყველაზე დიდი ტურნირი, რაც შეიძლება მოთამაშემ ინატროს.

— ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე ჩვენთან შეხვედრისას, ლუის არაგონესის დაფაზე, სადაც მწვრთნელი სქემებს განიხილავს, თქვენ დაწერეთ: LA PASION, ანუ ბურთის სიყვარული...

— ეს იმიტომ, რომ ინგლისში ყოფნის დროს, იქაური ფანების გუნდისადმი სიყვარულმა მომხიბლა და ესპანურ ინჩადსაც ამის მესიჯს ვუგზავნი. უნდა ნახოთ, ინგლისელებისთვის რას ნიშნავს ნაკრები, იმათთვის ფეხბურთი რელიგიაა...

— და ესპანეთის ნაკრებს გერმანია 2006-ზე როგორ უნდა „ვეთაყვანოთ"?

— როგორც ბრაზილიაზე ერთი საფეხურით დაბლა მდგომ გუნდს შეეფერება. მაგრამ ბევრი ისეთი ნაკრები არსებობს, ოკეანისგაღმელებს მცირედით რომ ჩამორჩება. ბრაზილია, ჩემი აზრით, ყველას სჯობია, თუმცა ფავორიტები სხვებიც არიან.

— რა არის საჭირო, ესპანეთის ეროვნულმა გუნდმა მუნდიალზე წარმატებას რომ მიაღწიოს?

— მნიშვნელოვან მატჩებში ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ, უშეღევათოდ უნდა ვიბრძოლოთ, რაც ესპანეთს დიდ ტურნირებზე ტრადიციულად აკლია. განვლილ ევრო 2004-ზე პორტუგალიასთან მატჩი გაიხსენეთ, იქ ვერ ვაჩვენეთ ჩვენი ძალა.

— რა არის ესპანეთის ნაკრების კოზირი?

— გვყავს კარგი ფეხბურთელები, რომელთაც ბურთთან მოპყრობა იციან, მათ შეტევა და ლამაზი ფეხბურთის თამაში ძალუძს. ამით სხვა ნაკრებებსაც შეუძლიათ, იამაყონ, თუმცა ესპანეთი წარსულ შეცდომებს გაითვალისწინებს და სახლშიც ძველებურად ნირწამხდარი არ დავბრუნდებით. ახლა ჩვენ, ძველი ნაკრებებისგან განსხვავებით, სამუნდიალო მიზანი კარგად ვიცით...

— რამ შეიძლება დაგალალატოთ გერმანია 2006-ზე, გამოცდილების უქონლობამ, თუ უბედობამ?

— ბევრმა რამემ შეიძლება ხელი შეგვიშალოს. გამოცდილების უქონლობა ახსენეთ და გეთანხმებით — მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში არ გვითამაშია, თუმცა საკლუბო დონეზე ყველაფერი გამოვცადეთ... ჯერ გავიდეთ მეოთხედფინალში და მერე ვნახოთ, უილბლოს ჩვენ დაგვიძახებენ, თუ ესპანეთის მეტოქეს... იქ გამოჩნდება, დიდი მატჩებისთვის რამდენად ვართ მომზადებულნი.

— იქნებ რეცეპტიც გვითხრათ, ტრადიციული უბედობის წამლობისა...

— სული და გული უნდა დავდოთ მოედანზე, თუკი მეოთხედფინალს ან ნახევარფინალს მივაღწევთ, ყველა ფეხბურთელმა გაათრებით უნდა იბრძოლოს.

— თქვენ და თქვენს თანაგუნდელებს მეოთხედფინალის დაუძლევლობის სინდრომი ხომ არ გაგიჩნდათ?

— არა, არავითარი კომპლექსი არ გვაწუხებს. ბოლოდროინდელ მუნდიალებზე ჩვენი გადაულახავი ბარიერი იყო და წლეულს ამ ფანტომის გაფანტვას შევეცდებით. სხვა საქმეა, მეოთხედფინალის შემდეგ სადამდე მივაღწევთ...

— ლუის არაგონესი გამარჯვებულის ფსიქოლოგიას გინერგავთ?

— დიახ. რაც მწვრთნელად მოვიდა, ყველანი მივხვდით, რომ ჩვენი თავკაცი სერიოზულად იყო მოწადინებული, თავისი იდეები წარმატებით განეხორციელებინა. იგი უცბად გვაგებინებს ყველაფერს, პირდაპირობა არაგონესის გამორჩეული თვისებაა. თან, რასაც შეგვპირდა, ყველაფერი გამართლდა.

— ანუ არაგონესის ფრთებქვეშ თავს უშიშრად გრძნობთ?

— დიახ. ჩვენთვის პატივია, როცა მოედანზე დონ ლიუისის მხარდაჭერას ვგრძნობთ.

— ესპანეთი მსოფლიოს ჩემპიონატზე პლეი ოფის შემდეგ მოხვდა. სლოვაკეთთან დამატებითმა ბრძოლებმა ნაკრები უფრო შემართულ გუნდად აქცია?

— რახან მუნდიალზე მოვხვდით, ესე იგი ცოტათი უფრო მეტი ვართ, ვიდრე ჩეულებრივი ნაკრები... ძალიან კარგად ვიცით, გერმანია 2006-ზე ყოფნა და იქ გამარჯვება რას ნიშნავს.

— თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მეტოქედ რომელ ნაკრებს აირჩევდით?

— ინგლისს. იმიტომ, რომ პრემიერლიგაში ვთამაშობ.

— და მუნდიალი რომ ესპანეთმა მოიგოს, როგორ აღნიშნავთ?

— წინასწარ არასოდეს არაფერს ვგეგმავ. იმპულსური კაცი ვარ და იმ მომენტში თავში რაც მომივა, იმას გავაკეთებ...

— ნაკრებში თქვენს პოზიციაზე დიდი კონკურენციაა...

— მოედნის ცენტრში მართლაც ბევრი კარგი ფეხბურთელი გვყავს და ადგილის მოპოვება ძნელია. ყველანი მზად უნდა ვიყოთ, კონკურენცია კი საერთო ჯამში გუნდისთვის უფრო სასიკეთოა.

— ესპანეთის ნაკრების სათამაშო ყაიდაზეც გვითხარით...

— თუ შემადგენლობის სპეციფიკას გავითვალისწინებთ, ამჟამინდელმა გუნდმა შემტევ სტილში უნდა ითამაშოს — თითქმის ყველა ფეხბურთელი იერიშებზეა მომართული. ნაკრები უფრო შემტევია, ვიდრე დაცვის მოყვარული.

— ინგლისელი ფეხბურთელები რას გეუბნებიან ესპანეთის ნაკრების შესახებ?

— რასაც ყოველთვის ამბობდნენ — სულ კარგი გუნდი გყავთ და ბოლოს მუდამ დამარცხებული რჩებითო. მე ვპასუხობ, რომ გერმანია 2006 ჩვენი გამარჯვებისთვის უნიკალური შანსია.

ტომარა გადადგა

„ბეტისის" პრეზიდენტმა რუის დე ლოპერამ თავისი გადადგომის შესახებ განუცხადა ჟურნალისტებს: „30 ივნისის შემდეგ „ბეტისს" უკვე სხვა პრეზიდენტი ეყოლება. ვისაც ჩემი სიკვდილი სურდა, შეუძლიათ, ამ ფაქტით იმხიარულონ. რუის დე ლოპერა, რომელმაც კლუბის ისტორიაში „ბეტისის" სასიკეთოდ ყველაზე მეტი გააკეთა, თანამდებობას ტოვებს".

ანდალუზიური კლუბის მთავარი კაცი „ბეტისის" ფანებზე და გუნდის „დისიდენტ" დირექტორებზეა გაბრაზებული. „ჩემი პრეზიდენტობისას „ბეტისმა" კოპა დელ რეი მოიგო და ჩემპიონთა ლიგაშიც გავიდა. სამეფო თასის მოგებიდან სამოც დღეში კი ვაი-გულშემატკივრები სტადიონზე, ლოპერა, შე ოქროთი გაძეძგილი ტომარაო — მიყვიროდნენ... ხალხი თუ მე არ დამაფასებს, აღარც მე მინდა, იმ ხალხს ვემსახურო... გუნდის დირექტორები და სხვა მოხელეები პრესასთან ძირს მითხრიდნენ, ჟურნალისტები მოისყიდეს, რომ რუის დე ლოპერაზე მარტო ცუდი ეწერათ" — ამბობს „ბეტისის" პრეზიდენტი.

ლოპერამ 14-წლიანი პრეზიდენტობის შემდეგ თქვა პოსტზე უარი.

ლადო ხომერიკი

რეალის ვალს მე გადავიხდი

მადრიდის „რეალის" მცველმა ჯონათან ვუდგეიტმა თქვა, რომ გუნდიდან წასვლას არ აპირებს და „სამეფო კლუბში" რჩება. ტრავმებისგან გატანჯულ ინგლისელზე ამბობდნენ, სამშობლოში, „ნიუკასლში" ბრუნდებაო, მაგრამ ვუდგეიტმა ჭორები უარყო.

„ძალიან დავალებული ვარ „რეალისგან". მათ ჩემთვის ბევრი რამ გააკეთეს და მსურს, რომ მომავალ სეზონში ძირითად შემადგენლობაში ვითამაშო" — განაცხადა ინგლისელმა.

26 წლის ფეხბურთელი 2004 წლის ზაფხულში გადავიდა „ნიუკასლიდან" „რეალში". მის სანაცვლოდ „სამეფო კლუბმა" 20 მილიონი ევრო გადაიხადა, მაგრამ ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და პირველ სეზონში საერთოდ არ უთამაშია. 18-თვიანი მკურნალობის შემდეგ შარშან შემოდგომაზე დაუბრუნდა მოედანს და 2005-2006-ში ცხრა მატჩი ითამაშა.

„ახლა თავს კარგად ვგრძნობ. ტრავმა საბოლოოდ მოვიშუშე და მინდა, „რეალში" რაიმე ჯილდო მოვიგო. მძიმე ზაფხული მელის, რაკი ფორმის სრულყოფილად აღდგენისთვის მუშაობა მომიწევს, თუმც მჯერა, რომ ბოლოს დამიფასდება" — აღნიშნა ვუდგეიტმა.

ბრაზილია

სერია A. VII ტური

კრუზეირო — პონტე პრეტა 5:1; ჟუვენტუდე — სანტა კრუზი 4:1; ფარანა — ფიგეირენსე 0:0; სან პაულუ — პალმეირასი 4:1; ფლამენგო — სანტოსი 2:2; ფორტალეზა — ფლუმინენსე 2:5; სან კაეტანო — ატლ. პარანენსე 2:1; ბოტაფოგო — ვასკუ და გამა 4:1; კორინთიანსი — ინტერნასიონალი 0:1; გრემიო — გოიასი 2:0

აშშ

მეიჯორ სოკერ ლიგა გადადებული მატჩი

ნიუ იორკი 1:2 დალასი

ამხანაგური მატჩი

სამხრეთ კორეა 2:0 ბოსნია

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. VI ტური

პიკ — მარიეჰამნი 0:0; ლაჰტი — ვაასა 1:0; იარო — კუოპიო 1:0; ტამპერე — ჰაკა 1:0; ტურკუ — მიუპა 0:0

ტამპერე	7	5	1	1	11:5	16
ჰონკა	5	4	0	1	9:6	12
მიუპა	6	3	1	2	7:3	10
მარიეჰამნი	7	2	4	1	11:9	10
ტურკუ	6	2	2	2	10:8	8
ჰაკა	7	2	2	3	4:4	8
ლაჰტი	6	2	2	2	4:5	8
კტპ	5	2	1	2	5:5	7
პიკ	5	2	1	2	3:3	7
ინტერი	5	1	2	2	4:5	5
იარო	4	1	1	2	4:6	4
ვაასა	5	1	1	3	4:7	4
კუოპიო	6	0	2	4	1:11	2

ისლანდია

პრემიერდივიზიონი. III ტური

ჰაფნარფიორდური 2:1 აკრანესი

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ინგლისი. პლეი ოფი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		27 მაისი						
18:00	197	სუონსი-ბარნსლი	2.40	3.10	2.75	1.35	1.28	1.45
		28 მაისი						
18:00	198	გრიმსბი-ჩელტენემი	2.35	3.00	2.75	1.31	1.26	1.43

გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		27 მაისი						
16:00	1	დიუსელდორფი-კილი	2.05	3.10	3.00	1.23	1.21	1.52
16:00	4	ლიუბეკი-ოსნაბრიუკი	1.65	3.30	4.00	1.10	1.16	1.80
16:00	8	ვერდერი(მ)-კიოლნი(მ)	1.40	3.80	5.60	1.02	1.12	2.26

გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		27 მაისი						
16:30	10	აალენი-ვეენი	2.20	3.20	2.75	1.30	1.22	1.47
16:30	13	დარმშტადი-ბაირატი	1.75	3.30	3.75	1.14	1.19	1.75
16:30	15	ჰოფენჰაიმი-კარლსრუე(მ)	1.65	3.40	4.00	1.11	1.16	1.83

ესპანეთი. II დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		27 მაისი						
20:30	45	ფეროლი-ტენერიფე	2.45	3.00	2.65	1.34	1.27	1.40
22:00	47	ლევანტე-ვალიადოლიდი	1.55	3.40	5.50	1.06	1.20	2.10
21:00	49	ლორკა-ეიბარი	1.25	4.50	10.00	1.00	1.11	3.10
20:30	50	მალაგა ბ-ალმერია	4.20	3.40	1.70	1.87	1.21	1.13
21:00	51	მურსია-ჰერკულესი	2.10	2.60	3.80	1.16	1.35	1.54
		28 მაისი						
21:00	43	ალბასეტე-სერესი	2.40	3.00	2.70	1.33	1.27	1.42
21:00	44	ელჩე-სიუდადი	2.80	3.00	2.35	1.44	1.27	1.31
21:00	46	ტარაგონა-ნუმანსია	1.80	3.00	4.30	1.12	1.26	1.76
19:30	48	ლეიდა-რეალი(ბ)	1.90	3.10	3.65	1.17	1.24	1.67
21:00	52	ეხიდო-სპორტინგი	2.10	2.80	3.30	1.20	1.28	1.51
14:00	53	უელვა-კასტელონი	1.40	3.50	8.00	1.00	1.19	2.43

სლოვაკეთი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		27 მაისი						
19:00	63	ბ.ბისტრიცა-რუჟომბეროკი	4.30	3.40	1.60	1.89	1.16	1.08
19:00	64	ინტერი-ჟილინა	2.85	3.00	2.15	1.46	1.22	1.25
19:00	65	ნიტრა-დუბნიცა	1.80	3.20	3.60	1.15	1.20	1.69
19:00	66	ტრენჩინი-პეტრჟალკა	4.20	3.40	1.60	1.87	1.15	1.08
19:00	67	ტრნავა-პუხოვი	1.30	4.00	6.50	1.00	1.08	2.47

დანია. I დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		27 მაისი						
17:00	68	სკიოლდი-ბრაბრანდი	3.50	3.80	1.80	1.82	1.18	1.22
		28 მაისი						
15:00	69	ფრემი-ჰელერუპი	1.90	3.30	3.60	1.20	1.24	1.72
15:00	70	ფრემადი-ნიკიობინგი	1.60	3.80	4.50	1.12	1.18	2.06
15:00	71	ლიუნგბიუ-ვეილე	2.20	3.70	2.70	1.37	1.21	1.56
15:00	72	იოლსტიკე-ჰერფიოლგე	2.15	3.50	2.85	1.33	1.22	1.57
17:00	73	აკადემისკი-კოლდინგი	2.10	3.60	2.90	1.32	1.21	1.60
17:00	74	კოგე-ბრიონსჰოი	1.15	6.50	12.00	1.00	1.04	4.21
17:00	75	რანდერსი-ფრედერისია	1.30	4.60	8.50	1.01	1.12	2.98

ნორვეგია. ტიპელიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		28 მაისი						
20:00	77	ლილესტრიომი-სანდეფიორდი	1.35	4.50	7.00	1.03	1.13	2.73
20:00	78	რუსენბორგი-ჰამარი	1.40	4.00	7.00	1.03	1.16	2.54
20:00	79	სტარტი-სტაბეკი	2.20	3.10	2.90	1.28	1.25	1.49
20:00	80	ვოლერენგა-მოლდე	1.85	3.20	3.70	1.17	1.23	1.71
20:00	81	ვიკინგი-ოდ გრენლანდი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
22:00	82	ბრანი-ლინი	1.75	3.40	4.10	1.15	1.22	1.85
		29 მაისი						
21:00	83	ფრედრიკსტადი-ტრომსიო	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54

შვედეთი. სუპერეტა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		27 მაისი						
19:00	101	ქვიდინგი-სუნდსვალი	3.40	3.30	1.90	1.67	1.21	1.20
		28 მაისი						
19:00	102	ასირისკა-ლანდსკრონა	2.45	3.20	2.45	1.38	1.22	1.38
19:00	103	ბრომაპოიკარნა-დეგერფორსი	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
19:00	104	ნორჩიოპინგი-უმეა	1.35	4.30	6.70	1.02	1.12	2.61
19:00	105	იორებრო-ფალკენბერგი	1.40	4.00	6.30	1.03	1.14	2.44
19:00	106	ტრელებორგი-მიალბი	1.50	3.80	5.00	1.07	1.15	2.15

აშშ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		27 მაისი						
23:45	118	სოლტ ლეიკი-კოლორადო	2.30	3.20	2.65	1.33	1.23	1.44
23:45	119	ნიუ ინგლენდი-ჰიუსტონი	2.25	3.20	2.70	1.32	1.22	1.46
23:45	120	კანზასი-ვაშინგტონი	2.25	3.10	2.75	1.30	1.23	1.45
23:45	121	ჩივასი-ჩიკაგო	2.50	3.10	2.50	1.38	1.25	1.38

ბრაზილია

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		27 მაისი						
23:45	132	ატლეტიკო პრ-ჟუვენტუდი	2.00	3.20	3.10	1.23	1.21	1.57
23:45	133	ფიგეირენსე-ფორტალესა	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
23:45	134	პონტე პრეტა-პარანა	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
		28 მაისი						
23:45	135	გოიასი-სან კაეტანო	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21
23:00	136	ინტერნასიონალი-კრუზეირო	2.05	3.20	3.10	1.24	1.23	1.57
23:00	137	სანტა კრუსი-ბოტაფოგო	2.20	3.20	2.80	1.30	1.23	1.49
23:00	138	სანტოსი-კორინთიანსი	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
23:30	139	ფლუმინენსე-ფლამენგო	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
23:45	140	პალმეირასი-გრემიო	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
23:45	141	ვასკუ და გამა-სან პაულუ	2.35	3.20	2.60	1.35	1.23	1.43

ჩილე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		27 მაისი						
23:45	184	აუდაქსი-უ.კონსეპსიონი	2.10	3.30	2.85	1.28	1.20	1.52
23:30	185	კობრელოა-უნ.ჩილე	2.35	3.20	2.60	1.35	1.23	1.43
23:45	188	ჰივინსი-პალესტინო	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
23:45	191	უნ.ესპანიოლა-პუერტო მონტი	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21
		28 მაისი						
23:30	186	კოლო კოლო-ანტოფაგასტა	1.25	5.00	9.00	1.00	1.09	3.21
23:45	187	სერენა-კოკიმბო	1.85	3.30	3.45	1.18	1.20	1.68
23:45	189	რეინჯერსი-ევერტონი	2.60	3.20	2.35	1.43	1.23	1.35
20:00	190	უონდერერსი-მორნინგი	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
23:45	192	უნ.კატოლიკა-კობრესალი	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05

ამხანაგური მატჩები

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		27 მაისი						
19:00	157	გერმანია-ლუქსემბურგი	1.01	10.00	30.00	1.00	1.00	7.50
22:00	158	დანია-პარაგვაი	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77
22:15	159	სერბეთი-ურუგვაი	1.75	3.20	4.50	1.13	1.25	1.87
19:30	160	შვეიცარია-კოტ დიუარი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
22:30	161	ჰოლანდია-კამერუნი	1.55	3.60	5.50	1.08	1.20	2.17
20:15	162	უელსი-ტრინიდადი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
23:00	163	საფრანგეთი-მექსიკა	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
23:45	165	ესპანეთი-რუსეთი	1.55	3.60	5.50	1.08	1.20	2.17
		28 მაისი						
19:30	168	ეკვადორი-მაკედონია(ნ)	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
20:00	169	უკრაინა-კოსტა რიკა	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21

ეჩ. (19) შესარჩევი რაუნდი ავსტრია

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		27 მაისი						
17:00	404	რუსეთი(19)-უნგრეთი(19)	1.65	3.30	4.00	1.10	1.16	1.80
21:00	405	ავსტრია(19)-სლოვენია(19)	1.95	3.00	3.40	1.18	1.23	1.59

			1	X	2	1-X	1-2	X-2
ჩოგბურთი.კაცები. როლანდ გაროსი 27 მაისი								
13:00	408	ბ ბეკერი-კინდლმანი	1.35					2.30
13:00	409	სილვა-ცაკლი	1.70					1.90
13:00	410	ტუკსარი-პ ნავარო	1.70					1.90
13:00	411	ხარტფილდი-კიპოლა	1.70					1.90
13:00	412	ო ერნანდესი-სოლნერი	1.55					2.10

			1	X	2	1-X	1-2	X-2
ჩოგბურთი.ქალები. როლანდ გაროსი 27 მაისი								
13:00	392	ფლიპკენსი-პიჩეტი	1.65					1.95
13:00	394	ბეიგელზიმერი-სტრეიცოვა	1.80					1.80
13:00	397	ბირნეროვა-სკავრონსკაია	1.50					2.20
13:00	398	ს კლოზელი-ვერლე	1.50					2.10
13:00	399	ხრადეჩკა-ფერნანდესი	1.65					2.00
13:00	400	ჟზარენკა-საკოვიჩი	1.25					2.90

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10158	დანია-პარაგვაი	2.25	2.00	4.40	1.05	1.48	1.37
10159	სერბეთი-ურუგვაი	2.15	2.00	4.50	1.03	1.45	1.38
10160	შვეიცარია-კოტ დიუარი	2.50	2.00	3.75	1.11	1.50	1.30
10161	ჰოლანდია-კამერუნი	1.85	2.20	5.00	1.00	1.35	1.52
10162	უელსი-ტრინიდადი	2.70	2.00	3.30	1.14	1.48	1.24
10163	საფრანგეთი-მექსიკა	1.90	2.10	5.30	1.00	1.39	1.50
10165	ესპანეთი-რუსეთი	1.85	2.20	5.30	1.00	1.37	1.55
10168	ეკვადორი-მაკედონია(6)	2.00	2.10	5.00	1.02	1.42	1.47
10169	უკრაინა-კოსტა რიკა	1.85	2.20	5.30	1.00	1.37	1.552

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11158	დანია-პარაგვაი	2.60	10.00	20.00	3.50	4.40	7.30	20.00	10.00	6.00
11159	სერბეთი-ურუგვაი	2.50	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	6.50
11160	შვეიცარია-კოტ დიუარი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11161	ჰოლანდია-კამერუნი	1.90	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	9.00	8.00
11162	უელსი-ტრინიდადი	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.50	20.00	10.00	4.70
11163	საფრანგეთი-მექსიკა	2.40	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11165	ესპანეთი-რუსეთი	1.90	10.00	20.00	3.50	4.60	8.00	20.00	10.00	7.50
11168	ეკვადორი-მაკედონია(6)	2.30	10.00	20.00	5.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11169	უკრაინა-კოსტა რიკა	1.85	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12158	დანია-პარაგვაი	1.70--1.90
12159	სერბეთი-ურუგვაი	1.70--1.90
12160	შვეიცარია-კოტ დიუარი	1.70--1.90
12161	ჰოლანდია-კამერუნი	1.70--1.90
12162	უელსი-ტრინიდადი	1.70--1.90
12163	საფრანგეთი-მექსიკა	1.70--1.90
12165	ესპანეთი-რუსეთი	1.70--1.90
12168	ეკვადორი-მაკედონია(6)	1.70--1.90
12169	უკრაინა-კოსტა რიკა	1.70--1.90

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13158	დანია-პარაგვაი	1.80--1.80
13159	სერბეთი-ურუგვაი	1.90--1.70
13160	შვეიცარია-კოტ დიუარი	1.80--1.80
13161	ჰოლანდია-კამერუნი	1.80--1.80
13162	უელსი-ტრინიდადი	1.80--1.80
13163	საფრანგეთი-მექსიკა	1.80--1.80
13165	ესპანეთი-რუსეთი	1.80--1.80
13168	ეკვადორი-მაკედონია(6)	1.80--1.80
13169	უკრაინა-კოსტა რიკა	1.90--1.70

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14158	დანია-პარაგვაი	1.60--2.10
14159	სერბეთი-ურუგვაი	1.40--2.40
14160	შვეიცარია-კოტ დიუარი	1.70--2.10
14161	ჰოლანდია-კამერუნი	1.25--2.40
14162	უელსი-ტრინიდადი	1.80--2.00
14163	საფრანგეთი-მექსიკა	1.40--2.40
14165	ესპანეთი-რუსეთი	1.30--2.50
14168	ეკვადორი-მაკედონია(6)	1.40--2.40
14169	უკრაინა-კოსტა რიკა	1.30--2.50

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15158	დანია-პარაგვაი	3.00	2.80	2.00
15159	სერბეთი-ურუგვაი	3.00	2.80	2.00
15160	შვეიცარია-კოტ დიუარი	3.00	2.80	2.00
15161	ჰოლანდია-კამერუნი	3.00	2.80	2.00
15162	უელსი-ტრინიდადი	3.00	2.80	2.00
15163	საფრანგეთი-მექსიკა	3.00	2.80	2.00
15165	ესპანეთი-რუსეთი	3.00	2.80	2.00
15168	ეკვადორი-მაკედონია(6)	3.00	2.80	2.00
15169	უკრაინა-კოსტა რიკა	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16158	დანია-პარაგვაი	1.32--2.60
16159	სერბეთი-ურუგვაი	1.30--2.80
16160	შვეიცარია-კოტ დიუარი	1.45--2.30
16161	ჰოლანდია-კამერუნი	1.22--3.30
16162	უელსი-ტრინიდადი	1.60--2.10
16163	საფრანგეთი-მექსიკა	1.25--3.10
16165	ესპანეთი-რუსეთი	1.20--3.40
16168	ეკვადორი-მაკედონია(6)	1.25--3.10
16169	უკრაინა-კოსტა რიკა	1.15--3.70

გოლი:წყვილი-1ლი კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

17158	დანია-პარაგვაი	1.85--1.95
17159	სერბეთი-ურუგვაი	1.85--1.95
17160	შვეიცარია-კოტ დიუარი	1.85--1.95
17161	ჰოლანდია-კამერუნი	1.85--1.95
17162	უელსი-ტრინიდადი	1.85--1.95
17163	საფრანგეთი-მექსიკა	1.85--1.95
17165	ესპანეთი-რუსეთი	1.85--1.95
17168	ეკვადორი-მაკედონია(6)	1.85--1.95
17169	უკრაინა-კოსტა რიკა	1.85--1.95

ფორმულა I. 28 მაისი

13:00	1001	გამარჯვებული	რ.შუმახერი	32.00
13:00	1001	გამარჯვებული	ბარიკელო	26.00
13:00	1001	გამარჯვებული	მონტოია	21.00
13:00	1001	გამარჯვებული	ბატონი	20.00
13:00	1001	გამარჯვებული	მასა	15.00
13:00	1001	გამარჯვებული	რაიკონენი	9.00
13:00	1001	გამარჯვებული	ფიზიკელა	9.00
13:00	1001	გამარჯვებული	მ.შუმახერი	2.50
13:00	1001	გამარჯვებული	ვილნევი	45.00
13:00	1001	გამარჯვებული	უებერი	39.00
13:00	1001	გამარჯვებული	სატო	150.00
13:00	1001	გამარჯვებული	ალბერსი	150.00
13:00	1001	გამარჯვებული	ხაიდფელდი	45.00
13:00	1001	გამარჯვებული	როსბერგი	65.00
13:00	1001	გამარჯვებული	კულტხარდი	70.00
13:00	1001	გამარჯვებული	კლიენი	75.00
13:00	1001	გამარჯვებული	ლიუცი	80.00
13:00	1001	გამარჯვებული	სპიდი	150.00
13:00	1001	გამარჯვებული	ტრული	32.00
13:00	1001	გამარჯვებული	მონტანი	150.00
13:00	1001	გამარჯვებული	მონტეირო	150.00
13:00	1001	გამარჯვებული	ალონსო	2.40

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. ᲢᲐᲛ�პᲔᲠᲔ. 26-28 ᲛᲐᲘᲡᲘ

60კგ	66კგ	73კგ
1. კრეიგ ფელონი (ბრიტანეთი)	1. ზაზა კედელაშვილი (საქართველო)	1. ელმან მამადლი (აზერბაიჯანი)
2. არმენ ნაზარიანი (სომხეთი)	2. ბენჟამენ დარბალეტი (საფრანგეთი)	2. დანიელ ფერნანდესი (საფრანგეთი)
3. რუბენ ჰოუქსი (ჰოლანდია)	3. ანდრეას მიტერფელნერი (ავსტრია)	3. ბრაიან დიკი (ჰოლანდია)
3. ლუდვიგ პაიშერი (ავსტრია)	3. კინტერ როზერგი (ესტონეთი)	3. სალამუ მეჟიდოვი (რუსეთი)

ოქროს კედელი

ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲯᲘᲣᲓᲝ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠ ᲤᲔᲠᲔᲑᲨᲘ

AFP ᲤᲐᲡᲜᲐᲠᲘᲓᲐᲜ

ᲖᲐᲖᲐ ᲙᲔᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ (ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲕ) ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲑᲔᲜᲯᲐᲛᲔᲜ ᲓᲐᲠᲑᲐᲚᲔᲢᲘ ᲢᲐᲢᲐᲛᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲘᲡᲠᲝᲚᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ დამოუკიდებლობის დღეს ქართული ჰიმნი ფინურ ტამპერეშიც აჟღერდა. ძიუდოისტთა სამდღიანი ევროპის ჩემპიონატის პირველ დღეს მოჭიდავე სამი ჩვენებურიდან კვარცხლბეკზე მხოლოდ ერთი — ზაზა კედელაშვილი ავიდა, თუმც ეს საფეხური უმაღლესი, ოქროსი იყო. ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ძირითად ნაკრებში წლეულს დამკვიდრდა და პირველივე სერიოზულ ტურნირზე ოქროს შესწვდა.

მიუხედავად დებიუტანტობისა, ზაზას საჩემპიონო შანსებზე ძიუდოს სპეციალისტები ხმამაღლა საუბრობდნენ. ფინეთში გამგზავრების წინ მთავარმა მწვრთნელმაც პირდაპირ თქვა, კედელაშვილის განსაკუთრებით მეიმედებაო.

ოქროს გზა ჩვენებურმა ესტონელი კინტერ როზერგის დამწუხრებით დაიწყო. ეს მეორე წრის შეხვედრა იყო, რადგან პირველში კენჭისყრამ კედელაშვილს დასვენების საშუალება მისცა. ესტონელს ძლიერი სომეხი ჰოვანეს დავთიანი მიჰყვა, რომელმაც იქამდე ერთ-ერთ ფავორიტს, ჰოლანდიელ დექს ელმონტს დაასრულებინა საჩემპიონო ოცნება. ნახევარფინალში ახალგაზრდა ავსტრიელს ანდრეას მიტერფელნერს იპონის გარდა ყველანაირი ქულა აართვა და საფინალო შეხვედრაში ფრანგ ბენჟამენ დარბალეტს გადაეყარა.

კედელაშვილ-დარბალეტის ბრძოლა ამ გაზაფხულზე ერთხელ უკვე შედგა — მსოფლიოს თასის პარიზულ ეტაპზე. მაშინ ფრანგმა იმარჯვა და ქართველი ვერცხლს დაჯერა. ზაზამ თბილისში დაბრუნებისთანავე თქვა, ასი პროცენტით ვიცი, მეორედ შეხვედრისას მე მოვუგებო. მეორედ კი გუშინ შეხვდა და ფრანგს აშკარა უპირატესობით აჯობა.

გუშინ ალბათ, მეორე მედლის აღებაც შეგვეძლო, რომ არა მსაჯების შეცდომა. რეპეშაჟის ფინალში ნესტორ ხერგიანისა (60 კგ) და ჰოლანდიელი რუბენ ჰოქსის ორთაბრძოლის ძირითადი დრო უქულოდ დამთავრდა. არადა, ხერგიანი მთელი ხუთი წუთი უტევდა, ჰოუქსი კი პასიურობდა, მაგრამ ერთი გაფრთხილებაც არ მიუღია. გაცილებით საეჭვო პასიურობისთვის შიდოთი დამატებით ხუთწუთეულში ჩვენებური დასაჯეს.

რეპეშაჟამდე ნესტორმა სამჯერ მოასწრო ტატამზე გასვლა. ევროპის პრიზიორი თურქი ქემალ ოგუზისა და გაუკრაინელებული ქართველი გიორგი ზამთარიას ძლევის შემდეგ ფინალის საგზურს ბრიტანელი მსოფლიოს ჩემპიონი კრეიგ ფელონი გადაეფარა.

მოგვიანებით ფელონმა ევროპული ოქროთიც გაიხარა. თან ფინალში ევროპის მოქმედ ჩემპიონს, სომეხ არმენ ნაზარიანს მოუგო.

უმედლოდ დარჩა ბოლო ევროპის ჩემპიონატებზე ყველაზე სტაბილურად მოჭიდავე დავით ქევხიშვილი (73კგ). ძლიერი სლოვენიელი სასო ჟერების წმინდად დამარცხების შემდეგ წმინდადვე წაგო გაესპანელებულ იაპონელ კეიჯი უემაცუსთან. ჩვენდა სამწუხაროდ, შემდეგ წრეში უემაცუსაც მოუგეს და ჩვენებურს ზედიზედ მესამე ბრინჯაოს მოპოვების შანსიც გაუქრა.

ფინალში ფრანგი დანიელ ფერნანდესი და აზერბაიჯანელი ელმან მამადლი გავიდნენ. ფავორიტად ბევრი გამოცდილ ფრანგს ასახელებდა, თუმც ოქრო კავკასიელს ერგო.

ევროპის ჩემპიონატზე კაცებთან ერთად პირველად ჭიდაობს საქართველოს ქალთა ნაკრები. გუშინ ტატამზე 52-კილოგრამიანი აიმან კალიევა გავიდა და საწყის ეტაპზევე დამარცხდა იტალიელ ანტონია კუომოსთან.

დღეს გრიგოლ მამრიკიშვილი (81კგ), ირაკლი ცირეკიძე (90კგ) და დუსკა ქერიმოვა (57კგ) იჭიდავებენ, ხვალ კი — გიორგი ყიზილაშვილი (100კგ), ლაშა გუჯეჯიანი (+100კგ), ნინო ოძელაშვილი (70კგ) და ირინა ლეონიძე (+78კგ).

ᲝᲗᲐᲠ ᲛᲐᲚᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲣᲞᲔᲠᲗᲐᲡᲘ

ᲒᲘᲠᲐᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲐ

ᲗᲡᲣ-ᲜᲘᲙᲝᲠᲐᲛ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲡᲣᲞᲔᲠᲗᲐᲡᲘᲗ ᲓᲐᲡᲣᲠᲐ

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲓᲦᲔ

ᲕᲔᲠᲘᲡ ᲑᲐᲦᲘᲓᲐᲜ ᲕᲐᲠᲐᲖᲘᲡ ᲮᲔᲕᲨᲘ ᲝᲠᲘ ᲗᲐᲡᲘ ᲬᲐᲘᲦᲔᲡ

26 მაისი. ვერის ბაღი

ᲗᲡᲣ-ᲜᲘᲙᲝᲠᲐ 89:82 ᲐᲕᲘᲐᲛᲨᲔᲜᲘ

16:19 21:25 25:15 27:23

ᲗᲡᲣ-ᲜᲘᲙᲝᲠᲐ: ი. ბერიშვილი (15), ლეჟავა (23), კეშელავა (6), ბეჟანიშვილი (29), მუშკუდიანი (6); დიდია (8), ვეფხვაძე (2), მაისურაძე, ფანჩულიძე, სანიკიძე

ᲐᲕᲘᲐᲛᲨᲔᲜᲘ: ტულუში (26), ბ. ბერიშვილი (2), მარკოიშვილი (10), ჩხატარაშვილი, როდუმტა (8); ხოშტარია (18), მინაშვილი (17), ნიკოლაძე (1), ნოზაძე

ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘ: როლანდ ხომერიკი

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲞᲔᲠᲢᲐᲘᲐ

ᲝᲗᲐᲠ ᲥᲝᲠᲥᲘᲐᲡ სახელობის სუპერთასის პირველი მფლობელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდია. გუშინ სეზონის დასკვნით მატჩში საქართველოს თასის მფლობელმა „თსუ-ნიკორამ“ ერთი კვირის წინ გაჩემპიონებული „ავიამშენი“ დაამარცხა.

თსუ-მ მეორე საამსეზონო თასი მოიპოვა, მაგრამ ავიატორებმა სტუდენტებს ამ ტიტულებში საჩემპიონო თასის გაცვლა რომ შესთავაზონ, უნივერსიტეტელები დაუფიქრებლად დათანხმდებიან, რაკი მათი წლევანდელი სამიზნე უმთავრესად ოქროს მოპოვება გახლდათ.

ალბათ ამიტომაც იყო, სტუდენტები უფრო მოტივირებულები რომ იყვნენ. თსუ-მ ჩემპიონობა ვერ მოიგო და სანუგეშოდ სუპერთასის აღმართვაც გვარიანი სტიმული იქნებოდა ამ კლუბის სპონსორ „ნიკორასთვის“.

თავის მხრივ „ავიამშენი“ მოდუნებული ჩანდა — ყოველ შემთხვევაში, ეს გუნდი იმის აჩრდილიც არ იყო, რომელმაც ფინალურ სერიაში ახლახან რუსთავის „აზოტი“ დაამარცხა. ლევან მოსეშვილმა საერთოდ არ ათამაშა ფინალური სერიის გამორჩეული მონაწილეები — დავით ბერიშვილი, თორნიკე ნინიაშვილი და ამროსი ორმოცაძე.

ასე იყო, თუ ისე, ბრძოლა უინტერესო არ გამოსულა. ეგაა, ფინალი ვერ ვიხილეთ დაძაბული, რაკი თსუ-მ ბოლო მეოთხედში გაილაღა და როცა სირენამდე ორიოდ წუთით ადრე ნიკორელების ლიდერობამ ათ ქულას უწია, სუპერთასის მფლობელის ვინაობაც გაირკვა.

საერთოდაც, ეს თამაში პიროვნებების, უფრო ზუსტად კი მოთამაშეების, კარგი მოთამაშეების დუელი გამოვიდა. სტუდენტების მხრივ ვლადიმერ ბეჟანიშვილი, ბესიკ ლეჟავა და ირაკლი ბერიშვილი ბობოქრობდნენ, ავიატორთა ავანგარდში კი ეს ტრიო იდგა: კოტე ტულუში, ვახტანგ მინაშვილი და ირაკლი ხოშტარია.

ამ სამეულების დუელი 67:61 სტუდენტებმა მოიგეს, დანარჩენ მოთამაშეთა შერკინებაშიც თსუ-მ იძალა 22:21 და შესაბამისად... ისე, ეს მატჩი რაღაცით წააგავდა გუნდების სათასო ფინალს, რომელიც მარტში გაიმართა. მაშინ „ავიამშენი“ 17 ქულას უგებდა სტუდენტებს და საბოლოოდ წააგო, ახლა კი მოსეშვილის გუნდის უპირატესობა 14 ქულა გახლდათ და გამარჯვება მაინც თსუ-ს დარჩა.

მაშ ასე, თსუ-მ ახალდაარსებული სუპერთასი მოიგო და ამ სეზონსაც წერტილი დაუსვა. ეს კაცებისთვის, თორემ მანდილოსნების ფინალური სერია ჯერაც წინაა. გუშინ კი ქალებმა თასი გაითამაშეს და გამარჯვებული, კაცებისა არ იყოს, აქაც თსუ გამოვიდა. უნივერსიტეტელებმა იოლად სძლიეს „ქუთაისს“ — 73:59. ჩემპიონატის ფინალურ სერიაშიც ეს გუნდები ერკინებიან ერთმანეთს.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲓᲘᲚᲘᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲖᲔᲘᲛᲘ ᲐᲠᲪ ᲭᲐᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲘᲙᲚᲔᲡ

აშკარად კეთილი ადამიანი სპორტშიც აშკარად კეთილია

სანდრა რულოვსი: რატომ ყველაფერი მდიდრებს?! თუმც, ხომ არის ის, რასაც ფულით ვერ იყიდი: პატრიოტიზმი

ყველა ნორმალურ ქვეყანაში ასეა: პრეზიდენტები საპრეზიდენტო საქმეებს აგვარებენ, მათი მეუღლეები კი საზოგადოებრივ საქმიანობას მისდევენ. ზოგი პირველი ლედი საქველმოქმედო აქციათა ფოტო-ვიდეო-კადრებიდან გვიღიმის, სხვები კულტურულ-სპორტულ სფეროს ირჩევენ. ბევრია სპორტის ქომაგი, მაგრამ გვერწმუნეთ და დაგვეთანხმეთ, ბევრი პირველი ლედის ქომაგობა არაა ისეთი ალალი და მართალი, როგორიც სანდრა რულოვსისა. ქართულ ქალთა ფრენბურთს რომ ქომაგი და პატრონი ჰყავს, ასეთს ნებისმიერი სახეობა ინატრებდა. მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერაზე რომ არ ვილაპარაკოთ, სათქმელად ისიც გვეყოფა, რომ ქალბატონ სანდრას ნაკრების თამაშები არ გაუცდენია, ხშირად გოგონებთან ერთადაც კი უვარჯიშია და თუნდაც იმას აგრძნობინებს ჩვენს ფრენბურთელებს, რომ ამ ჯერაც არეულ ქვეყანაში ისინი მარტონი არ არიან. ქალბატონი სანდრა საქართველო — საფრანგეთის თამაშზე აღლუმიდან მოვიდა და ეს ინტერვიუც იქ ჩავწერეთ ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლევან ახვლედიანის დახმარებით



— მარტო ამ მატჩს დაესწრებით თუ ტურნირს მთლიანად ნახავთ...

— სამწუხაროდ, ხვალ საზღვარგარეთ მივემგზავრები და დარჩენილ თამაშებს ვერ ვნახავ. არადა, ძალიან მაინტერესებდა საქართველო — გერმანია, საქართველო — ლატვია და თუნდაც გერმანია — საფრანგეთი.

ამ დროს ქალბატონმა სანდრამ ტაბლოს გახედა. ჩვენები უიმედოდ აგებდნენ...

— ჩვენს მეტოქეებს არაფერი აკლიათ, რაც სჭირდებათ, ყველაფერი აქვთ და შედეგიც მოდის. მთავარია, დაფინანსება იყოს და ქართულ ფრენბურთსაც ეშველება — *განაგრძო ჩვენმა პირველმა ლედიმ.*

— ფრენბურთის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი ბრძანდებით და, როგორც ვიცი, სპონსორების მიზიდვაში თქვენც იყავით ჩართული...

— ჩემი კონტაქტებით რაც შემეძლო, გავაკეთე. საქართველოს ჩემპიონს, დიდი ჯიხაიშის „ჯიკოს“ ეკიპირების, ბურთების და ფრენბურთისთვის საჭირო სხვა ატრიბუტიკის პრობლემები მოვუგვარეთ. როდესაც ეს ყველაფერი „ჯიკოს“ გოგოებს გადავეცით, მაშინ პრესითაც და ტელევიზიითაც განვაცხადეთ, რომ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ყველასთან, ვისაც ქართული ფრენბურთის აღორძინების სურვილი ექნება. სამწუხაროდ, არავინ შეგვეხმიანებია. არადა, აგერ, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველი წრე თბილისში ტარდება, მეორე კი საფრანგეთში და ეს გოგოები იქაც ხომ უნდა წავიდნენ?! მარტო მგზავრობა რა ღირს... მესმის ერთხელ, ორჯერ, მაგრამ ყოველთვის ვერავინ გაგიკეთებს შეღავათს. მაშინ საქმე სულ ქველმოქმედებთან უნდა გქონდეს. ასე კი სადაა... ფრენბურთში მეტი ფული უნდა ჩაიდოს, თუნდაც იმიტომ, რომ აქ დიდი პოტენციალია.

— ნაკრებს ნორმალური სავარჯიშო დარბაზიც არ აქვს...

— ეს კულტურისა და სპორტის სამინისტროს და სპორტის დეპარტამენტს უნდა ჰკითხოთ. რაც შემიძლია, მე ყველაფერს ვაკეთებ.

— ადრე საქართველოს ნაკრების გოგონებთან ერთად გივარჯიშიათ კიდეც. ასეთი რამ მომავალშიც ხომ არ განმეორდება?

— იყო ეგეც... „ჯიკოს“ გოგოებთან ერთად ხშირად ვვარჯიშობდი. ჰოლანდიაში ფრენბურთს სერიოზულად ვთამაშობდი, მაგრამ ბოლო ათი წელი არ მივარჯიშია. მაშინ კარგად კი გავერთეთ, მაგრამ მანამდე უვარჯიშებელი რომ ვიყავი, ეტყობა, კუნთებმა ველარ გაუძლო და ხელები ძალიან ამტკივდა. სულ დალურჯებული მქონდა. მერე, იცით, ბავშვს ველოდებოდი და სავარჯიშოდ ნაღდად არ მეცალა. ახლა კი ვნახოთ. ისე, რატომაც არა?! როდესაც თავისუფალი დრო მექნება, ჩვენს გოგონებთან ერთად ვივარჯიშებ.

— ფრენბურთის გარდა სხვა რომელი სახეობები მოგწონთ?

— ცურვა, წყალბურთი, ჩოგბურთი... როდესაც მე და ჩემი ქმარი ამერიკაში ვცხოვრობდით, ხშირად დავდიოდით ფიგურულ სრიალზე. ჩვენმა პატარა გოგონამ ელენე გედევანიშვილმა რომ დიდ წარმატებას მიაღწია, ორივე ძალიან გახარებულები ვიყავით. სხვათა შორის, ძალიან მინდა, ჩვენი უფროსი შვილი ედვარდი წყალბურთელი გამოვიდეს. ცურვა და წყალბურთი, ამით მინდა დავაკავო ედვარდი. წყალბურთი ჯანსაღი ცხოვრების საწინდარია. ადამიანი ყველანაირად ვითარდება, თანაც გუნდური სახეობაა და ბიჭისთვის გუნდური სული და აზროვნება მთავარია. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერჯერობით არ არის საამისო პირობები. ამას წინათ საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების მწვრთნელის სოსო მაისურაძის ინტერვიუ წავიკითხე, სადაც ამბობს, თუ ოლიმპიური ჩემპიონები არ გავხდებით, აუზს არ გვაღირსებენო. მართლაც სამწუხარო რეალობაა. ძნელია, როცა შენი არ გაქვს და ნათხოვარ აუზში ვარჯიშობ. არ იცი, როდის ჩაგიშვებენ, ან როდის დაგითხოვენ აუზიდან. არადა, ჩემი აზრით, ერის სიჯანსაღისა და ჯანმრთელი თაობებისთვის საქართველოში სწორედ ასეთ სახეობებს არ უნდა უჭირდეთ.

— თქვით, რომ მწვრთნელის ინტერვიუ წაიკითხეთ. სპორტულ პრესას ეცნობით?

— ყველაფრის წასაკითხად დრო არ მაქვს, თუმცა სად რა იწერება, საქმის კურსში ვარ. საინფორმაციო გამოშვების სპორტულ ბლოკს კი უნახავს არ ვტოვებ. ყველაფერს ვუყურებ, ჩემი საყვარელი ბლოკია..

...ქალბატონ სანდრას მობილურზე დაურეკეს. როგორც თვითონ გვითხრა, მეუღლე ურეკავდა...

— მომიკითხა, როგორ ხარო. დღეს აღლუმზეც ვიყავი. ცოტა დავიღალე, ბავშვები შემეცოდნენ, ჩოხაში ძალიან დასცხათ, თან ქარიც იყო...

— საქართველოს პრეზიდენტი ხშირად გვინახავს სტადიონებზე. გამორჩეულად სპორტის რომელი სახეობა მოსწონს?

— ფიგურული სრიალი გითხარით. ამას გარდა, ძალიან უყვარს დილაობით სირბილი, ველოსიპედით სეირნობა, ცურვა, რაგბი, ფეხბურთი. აი, ახლახან ჩემპიონთა ლიგის ფინალს ერთად ვუყურეთ. ძალიან მომეწონა. ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება მსოფლიოს ჩემპიონატი. ცუდია, რომ საქართველო ვერ ითამაშებს და საქომაგოდ მარტო ჰოლანდია დამრჩა. საერთოდ, საკლუბოზე მეტად სანაკრებო ფეხბურთი მიყვარს. უფრო საინტერესოა.

— საკლუბო ფეხბურთი რატომ არ მოგწონთ?

— იმიტომ, რომ კლუბებს შეუძლიათ, კარგი ფეხბურთელები იყიდონ. ამით ბალანსი ირღვევა და ასეთი ფეხბურთი უინტერესო ხდება. ყველაფერი მდიდარ გუნდებს რჩებათ. სანაკრებო ფეხბურთში კი გაცილებით მეტი პატრიოტიზმი და სიალალეა. აქ უკვე ფულზე აღარ არის დამოკიდებული შედეგი და ყველა იმას აკეთებს, რაც შეუძლია. ჰოლანდია — გერმანიის, გერმანია — ინგლისის და საქართველო — რუსეთის ყურებას არაფერი სჯობს. ძალიან საინტერესო დაპირისპირებებია.

— საქართველოს პრეზიდენტი ტელევიზიით თუ უყურებს სპორტულ რეპორტაჟებს?

— როცა დრო აქვს, უყურებს. ჩემსავით ფეხბურთის ყურება უყვარს. სპორტულ პრესაში თუ რამ საინტერესო დაიწერა, იმის საქმის კურსშიც არის.

— საფეხბურთო რეპორტაჟების ყურებისას ემოციურია?

— დიახ, ეშხში შედის და მთლიანად მატჩშია ჩართული.

ბაჩო სვანიძე

ბადრი ქათიაშვილის ფოტო

სანდრა რულოვსი ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ლევან ახვლედიანს დიდი ძღვენით ეწვია

ბადრი ქათიაშვილის ფოტო

იშვიათი ეპიზოდი: თამარ ვაშაკიძემ ფრანგების სამმაგი ბლოკი გაარღვია



ალინა გამარას ამ დარტყმამ მიზანს ვერ უწია

ბადრი კეთილაძის ფოტოები

ჯიხაიში კი დიდია, მაგრამ ევროპა ვაი, რა დიდია

საქართველო 0:3 საფრანგეთი
17:25, 7:25, 12:25
გერმანია 3:0 ლატვია
25:16, 25:7, 25:12

დასანანია, მაგრამ ფაქტია — საქართველოს ნაკრებისთვის ჯერჯერობით ადრეა ევროგრანდებთან თუ არა, მეტ ნაკლებად მაღალი დონის გუნდებთან მაინც ტოლ-სწორად თამაში. აქ არ არის საუბარი იქ შევცდით, აქ ბლოკი ვერ დავაყენეთ, იქით გამოცდილებამ დაგვაღალატა, აქეთ შეკრებები არ გვაქვს... საუბარია ელემენტარულ სანაკრებო კულტურაზე, რასაც ორგანიზებულობა და გუნდი ჰქვია.

გუშინ საფრანგეთის ისედაც მეორე შემადგენლობით ჩამოსული ნაკრები სათადარიგოებით ეთამაშა საქართველოს. ჩვენს გოგოებს რაც შეეძლოთ, გააკეთეს, მაგრამ თავს ზემოთ ძალა აღარ იყო. არადა, ჩვენი გოგოები არ გადიან საკვალიფიკაციო ეტაპებს, პირდაპირ ეგრეთ წოდებულ „ა“ კლასში არიან, რაც ჩვენი ფრენბურთის ფედერაციის და სეზონში ერთი-ორი მატჩის მოგების დამსახურებაა.

გუშინ ჩვენები მხოლოდ პირველ სეტში გაუძალიანდნენ დალხენილ მეტოქეს. სანამ შეეძლოთ, ებრძოდნენ, მაგრამ მერე კლასმა და მომზადებამ თავისი გააკეთა. რა შეიძლება ითქვას მატჩზე, რომელიც საქართველოს ნაკრებმა, უკვე გუშინწინდელ ვარჯიშზე, ერთნაირ ფორმაში გამოწკეპილ და ათასნაირ ვიტამინიზირებულ ნაკრებთან ალალად წააგო? რა და, ჩვენებიდან ვერავის გამოყოფ, ვისაც რა შეეძლო, ის გააკეთა, ვისაც ძალა ჰქონდა, ურტყამდა და ბლოკავდა, უხაროდა და სწყინდა, მაგრამ დიდი ჯიხაიშის „ჯიკოზე“ დაფუძნებულ ნაკრებს მეტი არ შეეძლო.

ძალიან კარგი იქნება, თუ სამომავლოდ ჩვენი სპორტის მამები იმაზე მაინც იფიქრებენ, რომ ვარჯიშზე უცხოელებმა საქართველოს ნაკრებში სადაქალო კი არა, გუნდი ნახონ. ელემენტარულად იმის ფული მაინც უნდა იყოს, რომ გუნდს ერთნაირი ფორმა ეცვას.

აგერ ლატვიამაც წააგო მშრალად გერმანიასთან და არანაკლებ განადგურდა მეტოქესთან, ვიდრე საქართველო, მაგრამ ლატვიამ ეს მატჩი სხვანაირად დათმო. ბალტიისპირელთა მწვრთნელმა ლიდერები მათ შორის ვიქტორია რავას თანაგუნდელი და მეგობარი ოლგა ტოკოც მცირე ხნით „მოაცდინა“, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ლატვიას ნაკრების არაფერი ეტყობა. ლატვიამ ჯგუფის უპირობო ფავორიტთან, გერმანიასთან მატჩი აშკარად სადღეისოდ გამოიყენა, რადგან სწორედ დღეს და ხვალ აქვთ ბალტიისპირელებს გადამწყვეტი მატჩები. ოლგა ტოკოს და მის სადაქალოს ჯგუფის პირველადგილოსნობის არაფერი ეტყობათ და ისინი ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრას პლეი ოფიდან ეშურებიან.

გუშინ კი ჯგუფის ლიდერი გამოიკვეთა და სეფეგუნდობასაც გერმანიას ალბათ ვერავინ შეეცილება. მსოფლიო ვარსკვლავის ანგელინა გრიუნის მთავარქალობით გერმანია ჯგუფის ლიდერობას კი არა, ევროპის ჩემპიონობას აპირებს და ევროპის რჩეულებში თამაშს ალბათ თბილისში გაინაღდებს.

გუშინდელი დღის ეს კომენტარები კი ყველაზე საინტერესო უნდა იყოს. *იანს ლუბინსკასი, ლატვიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:* ჩვენს გუნდებს შორის მომზადების მხრივ საგრძნობი განსხვავებაა. გერმანიის ნაკრების თითქმის ყველა წევრი პროფესიონალურ კლუბებში თამაშობს. თუ ერთიერთზე დავაყენებთ მოთამაშეებს, აშკარაა, რომ გერმანიას უპირატესობა აქვს. ჩვენი ნაკრები შედარებით სუსტია. დღევანდელ მატჩში, ძირითადად დაცვაში ვთამაშობდით, მოწინააღმდეგე კი პირდაპირ თავდასხმაზე გადმოდიოდა. ნაკრებმა შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთა. გერმანიისთვის რომ მოგვეგო, ეს იქნებოდა გამონაკლისი, მათ ყველაზე ძლიერი ნაკრები ჰყავთ და გამარჯვების შანსიც მეტი აქვთ. მთელი თამაში მაღალ დონეზე ჩაატარეს. კიდევ გვაქვს სათამაშო და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მეორე ადგილი დავიკავოთ.

ანგელინა გრიუნი, გერმანიის ნაკრების ლიდერი: პირველი თამაში არ გვინახავს, მხოლოდ ვიცით, რომ საფრანგეთმა აღვილად დაამარცხა საქართველო. საღამოს აუცილებლად ვუყურებთ ჩანაწერს და შევაფასებთ. რა თქმა უნდა, ჩვენ ჩამოვედით იმისთვის, რომ მოვხვდეთ ევროპის ჩემპიონატზე. ლატვიის გარდა აქამდე არც ერთ გუნდთან არ გვითამაშია და ამიტომ ჯერ უნდა ვნახოთ, როგორ თამაშობენ. დღეს ტურნირი კარგად დავიწყეთ, ჩაწოდებაც და ბლოკირებაც გამოგვიდიოდა.

ბაჩო სვანიძე



ლატვიელებს ვერც ოლგა ტოკოს (№2) ოსტატობამ უშველა



ანგელინა გრიუნის შეტევები ყველასთვის ძნელი მოსაგერიებელია

ბადრი კეთილაძის ფოტოები

ვაჭების ბადე

ფედერერი (1) — კლემანი
გიმელსტობი — კვალ.
მიულერი — მირნი
მასუ (32) — მალისი
ბერდიხი (20)— ლოპესი
ვოლანდრი — კვალ.
გიკუელი — დი მაურო
კიფერი (13) — მელცერი
ანჩიჩი (12) — ჰილი
კაპდევილია — რუზეცკი
მაიერი — კვალ.
ჯინეპრი (17) — მონტანიესი
აკასუსო (26) — სანტორო
ლლუჰი — ვლიგენი
პაშანსკი — ჰანესკუ
რობრედო (7) — ზიბი
ნალბანდიანი (3) — ვავრინკა
გასკე — ვანგი
კარლსენი — ჰენმანი
ტურსუნოვი (31) — ნოვაკი
გროჟანი (21) — პაველი
გოლდსტინი — კვალ.
მუდი — ლაპენტი
ნიეშინენი (16) — სლუტერი
გაუდიო (10) — კვალ.
სეპი — კვალ.
კოლშრაიბერი — მარახი
ფერერო (24) — კვალ.
მოია (30) — მარინი
იუენი — კვალ.
სარეტა — სტარაჩე
დავიდენკო (6) — სპადეა
როდიკი (5) — მარტინი
საბაუ — კვალ.
ვანეკი — მაჰუტი
ო. როხუსი (27) — ფორელი
ბალდატისი (19) — პორტასი
ტიპსარევიჩი — ბენეტო
ბრაჩიალი — სანგინეტი
შტეპანეკი (11) — ლოდრა
ფერერი (15) — გარსია-ლოპესი
ბიორკმანი — ჩარდი
რამირეს იდალგო — ასიონე
იოჰანსონი (18) — კ. როხუსი
ვერდასკო (28) — ჩელა
მონაკო — კვალ.
სიმონი — კვალ.
ლიუბიჩიჩი (4) — ბერლოკი
ბლეიკი (8) — შრიჩაპარნი
ალმაგრო — კვალ.
კვალ. — კვალ.
მონფილზი (25) — მიურეი
ჰაასი (23) — შუტლერი
ვასკე — ვისენტე
ჯოკოვიჩი — ჰორნა
გონსალესი (9) — საფინი
ჰიუიტი (14) — ჰერნიხი
დანიელი — მონტკორტი
კარლოვიჩი — პატიენსი
ჰრბატი (22) — კვალ.
მატიო (29) — ფო
ვიკი — სერა
კვალ. — კვალ.
ნადალი (2) — სოდერლინგი

1/32 1/16 1/8 1/4 1/2

რაფაელ ნადალი და როჯერ ფედერერი: ბოლოს მაინც ერთი დარჩება

როლან გაროსი 2006

ორნი პარიზში

წლევანდელი „როლან გაროსი“ ბევრ საინტერესოს გვპირდება, თუმც ყველა მაინც ერთი დიდი მოვლენის, აწ უკვე საბრძოლო ეპოპეად ქცეული როჯერ ფედერერისა და რაფაელ ნადალის მორიგი აქამდე ჯერარნახული დაპირისპირების მოლოდინშია. ისინი ორგანიზატორებმა პირველ-მეორე ნომრებად განთესეს, რის გამოც ფინალამდე ერთმანეთს არ გადაეყრებიან — მათი სათამაშო ფორმიდან გამომდინარე კი საეჭვოა, რომელიმემ გადამწყვეტ მატჩამდე მისვლა ვერ მოახერხოს.

ფედერერი საჩოგბურთო სამყაროში (ზოგადად სპორტულ სამყაროშიც) უპირობო პირველკაცია და ამასთანავე ყველა დიდ-პატარა ტურნირის მოგების უმთავრესი ფავორიტიც, მაგრამ ეს წესი სათიხნარო შეჯიბრებებზე უკვე აღარ ვრცელდება.

ამაში მთავარი „დამნაშავე“ კი ნადალია, „გრუნტის მეფედ“ აღიარებული 19 წლის ესპანელი ფენომენი. პირინეელი მეორე ნომრად კი განთესეს, მაგრამ საფრანგეთში მოგების მთავარ პრეტენდენტად სწორედ ის სახელდება და არცთუ უსაფუძვლოდ. ეს ბიჭი აგერ, უკვე ორი წელია, გრუნტზე არ აგებს და არგენტინელი გილერმო ვილასის რეკორდიც გაიმეორა — ზედიზედ 53 მატჩია, მსოფლიო სათიხნარო კორტებს დაუმარცხებლად ტოვებს. რაფაელი რომ ახალი რეკორდსმენი გახდება, ეჭვი არავის ეპარება. ამისთვის მას ერთი გამარჯვებაც ეყოფა.

თუმც რეკორდები ახლა ნადალს ნაკლებად აღელვებს. მისი უმთავრესი მიზანი ტიტულის დაცვაა. ამის გაკეთება კი თინეიჯერ მალიორკელს ფრიად გაუჭირდება — შარშან ხომ ის ყველასთვის მაინც ნიჭიერი ახალბედა იყო, წლეულს კი ჩემპიონის სტატუსით მოუწევს თამაში, რის გამოც ყველა განსაკუთრებული განწყობით გავა მის წინააღმდეგ. ამიტომ პირინელმა თავისი მკვლელი ცაცია თავიდანვე ასი პროცენტით უნდა აამუშაოს.

ნადალს მთავარ ფავორიტად ფედერერიც ასახელებს. მეტიც, შვეიცარიელს მიაჩნია, რომ ესპანელი დღესდღეობით გრუნტის საუკეთესო სპეციალისტია. თუმც შეიძლება ალპელი ცოტათი წყალსაც ამღვრევს — წლეულს „მხიარულმა როჯერმა“ მონტე კარლოსა და რომის მასტერსების ფინალებში თამაშით დაამტკიცა, რომ თიხნარს ისიც კარგად გაუშინაურდა და საფრანგეთის ღია პირველობას მშვენიერ ფორმაში ხვდება.

შვეიცარიელი წლეულს, შარშანდელისგან განსხვავებით, დასვენებულიც იქნება — ნადალის მსგავსად, ჰამბურგში ჩოგნაობას და ტიტულის დაცვას ძალების მოკრეფა ამჯობინა. თუმც დიად ალპელს ეს დრო მთლად უქმად არ დაუკარგავს — პარიზში ნაადრევად ჩავიდა და იქაურ კლიმატსა და კორტებს უშინაურდებოდა.

მთელი ეს სამზადისი კი ერთ დიდ მიზანს ემსახურება. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ფედერერს „როლან გაროსის“ მოგების შემთხვევაში „დიდი სლემის“ შეგროვება შეუძლია, თან როგორის — თუ საფრანგეთში იპირველებს, შვეიცარიელი „დიდი სლემს“ ერთი კალენდარული წლის განმავლობაში შეაგროვებს. როჯერი ხომ დღესდღეობით უმბლდონის, აშშ-ს და ავსტრალიის ღია პირველობების მოქმედი ჩემპიონია და ამ კოლექციას მხოლოდ „როლან გაროსიღა“ აკლია. ხოლო მას შემდეგ, რაც ეს ტურნირები სხვადასხვა საფარზე ტარდება, ასეთი „დიდი სლემი“ აქამდე არც ერთ კაც ჩოგბურთელს არ შეუგროვებია. ამდაგვარი მიღწევა მხოლოდ მარტინა ნავრატილოვას, შტეფი გრაფისა და სერენა უილიამსის ანგარიშზეა.

ფედერერისა და ნადალის უმთავრეს მოცილეებზე საუბარი ბევრისთვის წარმოუდგენელიც კია, მაგრამ თუ ვინმე უნდა აღინიშნოს, ალბათ, მაინც ჰამბურგში თავისი პირველი დიდი ტიტულის მომგები ტომი რობრედო. ეს ესპანელი ახლა ერთადერთია, რომელიც ასე თუ ისე სტაბილურ და მაღალი დონის თამაშს აჩვენებს. თუმც მასაც კი „მხიარული როჯერისა“, ანაც თავისი თინეიჯერი თანამემამულის დასამარცხებლად ძალიან უნდა გაუმართლოს.

წესითა და რიგით, რობრედოს გვერდით ორი პატაგონიელი, პარიზის ორი წლის წინანდელი ტრიუმფატორი გასტონ გაუდიო და დავიდ ნალბანდიანიც უნდა დაგვეყენებინა, მაგრამ ისინი წლეულს აგებენ ყველასთან, ვისაც თამაში არ ეზარება და ამიტომ ძალიან საეჭვოა, დარჩენილ დღეებში სასწაულებრივი გარდაქმნა მოასწრონ...

საეჭვოა, მაგრამ თავისებურად თუ გაუბერა, მაშინ მარატ საფინი ეგებ საკმაოდ შორს გაფრინდეს. ნახევარწლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნებული რუსი გოლიათი არცთუ შთამბეჭდავად გამოიყურება, მაგრამ თვითონ მარატი დაჟინებით ამტკიცებს, რომ „როლან გაროსი“ მისი უსაყვარლესი გათამაშებაა და აქ წარმატების იმედიც აქვს. შეიძლება, ეს არ გამოუვიდეს, მაგრამ ერთ-ორი ხუთსეტიანი ტრილერით საფინი, ალბათ, მაინც გვასიამოვნებს და ჩოგნების მტვრევითაც „დაგვატკბობს“.

როლან გაროსის ჩემპიონები 1961 — 2004



გილერმო ვილასი

1961	მანუელ სანტანა
1962	როდ ლეივერი
1963	როი ემერსონი
1964	მანუელ სანტანა
1965	ფრედ სტოლი
1966	ტონი როჩი
1967	როი ემერსონი
1968	კენ როზუოლი
1969	როდ ლეივერი
1970	იან კოდეში
1971	იან კოდეში
1972	ანდრეს ხიმენო
1973	ილია ნასტასე
1974	ბიორნ ბორგი
1975	ბიორნ ბორგი
1976	ადრიანო პანატა
1977	გილერმო ვილასი
1978	ბიორნ ბორგი
1979	ბიორნ ბორგი
1980	ბიორნ ბორგი
1981	ბიორნ ბორგი
1982	მათს ვილანდერი
1983	იანიკ ნოა
1984	ივან ლენდლი
1985	მათს ვილანდერი
1986	ივან ლენდლი
1987	ივან ლენდლი
1988	მათს ვილანდერი
1989	მაიკლ ჩანგი
1990	ანდრეს გომესი
1991	ჯიმ კურიე
1992	ჯიმ კურიე
1993	სერხი ბრუგერა
1994	სერხი ბრუგერა
1995	ტომას მუსტერი
1996	ევგენი კაფელნიკოვი
1997	გუსტავო კუერტენი
1998	კარლოს მოია
1999	ანდრე აგასი
2000	გუსტავო კუერტენი
2001	გუსტავო კუერტენი
2002	ალბერტ კოსტა
2003	ხუან კარლოს ფერერო
2004	გასტონ გაუდიო
2005	რაფაელ ნადალი

როლან გაროსი 2006

მორესმო, ბელგიელები, ბევრი რუსი და ჰინგისი

კაცებისგან განსხვავებით, ძნელია ერთი ან ორი ფავორიტის გამოყოფა ქალთა შეჯიბრებაში. აქ 5-6 ისეთი ჩოგბურთელი მოიძებნება, ვისაც სერიოზულად შეუძლია, წარმატების იმედი იქონიოს.

ყველაზე დიდი იმედით კი წლევანდელ „როლან გაროსს“ ფრანგები ხვდებიან. მათ ძალიან უნდათ თანამემამულის ტრიუმფის ნახვა და ამიტომ შარშანდელ ფინალისტ მარი პირსის არყოფნაში ამელი მორესმოს მხურვალე მხარდაჭერა გარანტირებული აქვს.

ფრანგების ოპტიმიზმს თავისი მიზეზი აქვს. მორესმო ხომ კარიერის პიკზეა, წლეულს ავსტრალიაში თავისი პირველი „დიდი სლემის“ ტურნირი მოიგო და შემდეგ რეიტინგის სათავეშიც წამოსკუპდა. ამელის ამბიცია არასოდეს აკლდა და ამიტომ წლეულს უდიდესი მოტივაცია ექნება, მაგრამ სპეციალისტები მის შანსებს არცთუ სერიოზულად აფასებენ. საქმე იმაშია რომ გრუნტი ვერ უთავსდება ამ მხარბეჭიანი მექალთანის ძალისმიერი თამაშის სტილს... გარდა ამისა, მორესმო აქამდე ვერც მშობლიური ტრიბუნების წინ თამაშისას არსებულ აუცილებელ ფსიქოლოგიურ ზეწოლას უძლებდა და წლეულსაც გაუჭირდება ნერვების დაოკება.

მთავარ ფავორიტებად კი საქმეში გარკვეული ხალხი ბელგიელებს — შარშანდელ ტრიუმფატორ ჟუსტინ ენენ-არდენსა და კიმ კლაისეტერსს ასახელებს.

თუმც ჟუსტინს ტრავმები თავს არ ანებებს და წლეულსაც საკმაოდ გაიტანჯა. სათიხნარო სეზონის დიდი ნაწილი მან ამიტომაც გამოტოვა და წესით, პარიზში მაინცდამაინც კარგ ფორმაში არ უნდა ჩავიდეს. თუმც ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჭინკა ბელგიელი თავის ტიტულის ადვილად დათმობას აპირებდეს.

ივგვე პრობლემები აწუხებს კლაისტერსაც, თუმც ის ცოტა უკეთეს მდგომარეობაშია. კიმმა ყველა ტრავმა მოიშუშა და ამაზე წუწუნი აღარ მოუწევს, მაგრამ ამ მოშუშება-მკურნალობის გამო ბევრი გაუცდა და არცთუ სახარბიელო ფორმაშია. ვარშავაში ფინალში კი გაიდა, მაგრამ ერთი კვირის წინ რომში მესამე წრეში წააგო. თუმც კლაისტერსი მაინც საბრძოლოდ არის განწყობილი და მოგებაზეა დაგეშილი:

ჟუსტინ ენენ-არდენი პარიზში ტიტულის დაცვას შეეცდება

„როგორც იქნა, ყველა ტრავმა მოვიშუშე და ახლა ასი პრცენტით მზად ვარ. ასე კარგად, დიდი ხანია, არ ვყოფილვარ. მართალია, თიხნარი არასოდეს მიყვარდა და წლეულს ბევრი ვერც ვითამაშე, რომ შევგუებოდი, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, ჩემი უმთავრესი მიზანი მაინც გამარჯვებაა“.

არც რუსების დავიწყება ეგების. სლავთა უმთავრეს იმედად კი, სეზონის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ელიტაში ფართო ნაბიჯით შესული ნადია პეტროვა უნდა დასახელდეს. ეს რუსი მართლაც ძალიან გაწონასწორებულ და სტაბილურ თამაშს აჩვენებს, რის გამოც წლეულს გრუნტზე უკვე სამი ტიტული მოიგო და პარიზშიც დიდი მიზნებით ჩადის.

ნაკლები შანსი უნდა ჰქონდეს კიდევ ერთ ტრავმებით განაწამებ, მაგრამ ამასთანავე მოდელიორობას გადაყოლილ რუს მარია შარაპოვას. თიხნარზე მარიას თავი არასოდეს გამოუჩენია და მისი მაქსიმუმი, ალბათ, ისევ მეოთხედფინალი უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ შარაპოვას უკვე თვენახევარია, ჩოგანი ხელში არ აუღია.

უნდა აღინიშნოს მარტინა ჰინგისის პარიზში დაბრუნებაც, შვეიცარიელს დაუფასდა ბოლო დროს ნაჩვენები კარგი თამაში და ჩოგბურთში მობრუნების შემდეგ განთესილთა სიაში პირველად მოხვდა. მარტინა მართლა კარგ ფორმაშია და მისგან ბევრ სიურპრიზს უნდა ველოდოთ. მით უმეტეს, რომ გრუნტი სწორედ ის საფარია, სადაც ნატიფი შვეიცარიელის ძალისმიერი თამაშით დაჩაგვრა არავის გამოუვა, ტექნიკასა და მოხერხებულობაში კი ჰინგისს ერთიორი თუ გაეჯიბრება.

ალბათ, ბოლო 10 წლის განმავლობაში პირველად ხდება, რომ „როლან გაროსზე“ თითქმის უპრეტენზიოდ იქნებიან ამერიკელები. ტრავმების გამო პარიზში ვერ ჩავლენ ლინდსი დევენპორტი და სერენა უილიამსი. აი, ვინუსი კი, თავის უმცროსი დისგან განსხვავებით, გრუნტზე განსაკუთრებით კარგად არასოდეს თამაშობდა.

დაბოლოს, სიურპრიზები შეიძლება შემოგვთავაზონ რუსული ლეგიონის მეორე ეშელონის წარმომადგენლებმა. სვეტლანა კუზნეცოვამ წლეულს რამდენჯერმე „გამოანათა“ და ძალიან სოლიდური თამაშითაც დაგვამახსოვრა თავი. არც დინარა საფინაა ჩამოსაწერი, რომელმაც ერთი კვირის წინ რომში ერთმანეთის მიყოლებით დაიფრინა რამდენიმე ფავორიტი და წესით, არც პარიზში იტყვის უარს ამის გამეორებაზე.

ასევე აღსანიშნავია ელენა დემენტიევაც. იგი არასტაბილური კია, მაგრამ თუ წაუვიდა თამაში, ბევრს მილეწ-მოლეწავს... ორი წლის წინ გაჩემპიონებული და იმის შემდეგ ლეთარგიულ ძილში მყოფი ანასტასია მისკინაც ეცდება, ახლა მაინც გამოიღვიძოს.

ძახა ლომაჯვილი

ქალების ბადე



როლან გაროსის ჩემპიონები 1961 — 2004

1961	ენ ჰეიდონი
1962	მარგარეტ სმიტი
1963	ლესლი ტერნერი
1964	მარგარეტ სმიტი
1965	ლესლი ტერნერი
1966	ენ ჰეიდონ-ჯონსი
1967	ფრანსუაზ დური
1968	ნენსი რიჩი
1969	მარგარეტ სმიტ-კორტი
1970	მარგარეტ სმიტ-კორტი
1971	ივონ გულაგონგი
1972	ბილი-ჯინ კინგი
1973	მარგარეტ სმიტ-კორტი
1974	კრის ევერტი
1975	კრის ევერტი
1976	სიუ ბარკერი
1977	მიმა იუსოვეიცი
1978	ვირჯინია რუჟიჩი
1979	კრის ევერტ-ლოიდი
1980	კრის ევერტ-ლოიდი
1981	ჰანა მანდლიკოვა
1982	მარტინა ნავრატილოვა
1983	კრის ევერტ-ლოიდი
1984	მარტინა ნავრატილოვა
1985	კრის ევერტ-ლოიდი
1986	კრის ევერტ-ლოიდი
1987	შტეფი გრაფი
1988	შტეფი გრაფი
1989	არანჩა სანჩესი
1990	მონიკა სელეში
1991	მონიკა სელეში
1992	მონიკა სელეში
1993	შტეფი გრაფი
1994	არანჩა სანჩესი
1995	შტეფი გრაფი
1996	შტეფი გრაფი
1997	ივა მაიოლი
1998	არანჩა სანჩეს-ვიკარიო
1999	შტეფი გრაფი
2000	მარი პირსი
2001	ჯენიფერ კაპრიატი
2002	სერენა უილიამსი
2003	ჟუსტინ ენენ-არდენი
2004	ანასტასია მისკინა
2005	ჟუსტინ ენენ-არდენი

კრის ევერტი

ცამეტკაცა. ევროპის ერთა თასი 2006. მეორე ტური

საქართველო 57:16 ჰოლანდია

26 მაისი. თბილისი. «მიხეილ მესხი»

ცამეტმა ქართველმა ჰოლანდია დანავსა

გუშინ ვაკეში, „მიხეილ მესხზე“ საქართველოს ცამეტკაცა ნაკრებმა 57:16 შემუსრა მჭლე ჰოლანდია და ევროელიტაში თამაშის უფლება ადრეულად მოიპოვა. საქართველო 2008 წლის მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო ჯგუფშია მანამდე სტუმრად ძლეულ სერბეთთან, ახლა დაჩაგრულ ჰოლანდიასთან და მომავალ მეტოქე რუსეთთან ერთად. საერთათასო ჯგუფიდან ორი ლიდერი გავა და ამდენად, ორი მეტოქის დამარცხებით „13 ქართველმა“ უკვე გაინაღდა ელიტეტაპი. ჩვენებურები რუსებს 22 ივლისს მოსკოვში შეერკინებიან და ჯგუფის პირველადგილოსანიც ამ ჯახში გაირკვევა.

...ჰოლანდიელებთან შეხვედრის ტაიმთაშორის შესვენებაზე ერთი სანახევროდ შიშველი ბიჭუნა გადმოხტა მოედანზე. ალბათ ტელევიზორში ნახა მსგავსი რამ და ჭკუაში დაუჯდა, მაგრამ, ჩანს, ბოლომდე გაშიშვლება ვერ გაბედა. გამოედევნენ მოედანზე წესრიგის დამცველები, მაგრამ „სტრიკერი“ ისევ ზორბა ჰოლანდიელმა შებოჭა და მდევრებს გადასცა. მგონი, ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, იმ დღეს ჰოლანდიელმა უპრობლემოდ და იოლად რომ შეაჩერა ქართველი, სხვა შემთხვევებში კი „ნარინჯისფრებს“ საშინლად უჭირდათ ქართველთა შეჩერება და მათ დევნაში და მათთან ჭიდილში ისე დაილალ-დაილეწნენ, ნამატჩევს რომ გეკითხათ, ალბათ თავადაც ვერ იტყოდნენ რაგბის ამ ლალი და გახსნილი ნაირსახეობის მატჩი ითამაშეს თუ ტრადიციული, მძიმე 15-კაცია.

პირველი წუთების მოჩვენებითი თანაბარი თამაშის შემდეგ 13-მა ქართველმა იოლად მოიპოვა უპირატესობა და ლელოებიც ერთმანეთზე ლამაზი გამოაცხო. ულელოდ არც ჰოლანდიელები დარჩნენ, თითო ტაიმში თითო გაიტანეს, საბოლოოდ 16 ქულის მოგროვება მაინც მოახერხეს და ნუგეშად ის თუ დაურჩებათ, რომ შარშან შინ ამდენიც არ მოუგროვდათ.

ქართველმა შვიდკაცამ ორი კაცური არჩია

საქართველოს ნაკრები საზაფხულო საშვიდკაცო სეზონს შეუდგება. 2-3 ივნისს ჩვენები ევროპის სერიას იწყებენ, მაგრამ ექვსი ტურიდან მხოლოდ ორში ითამაშებენ. ასე მოიქცნენ რაგბიში სიტყვის მთქმელი ქვეყნები და ამქარს არც ქართველი მეშვიდკაცეები დააკლდნენ.

ჩვენები მხოლოდ ფრანგულ ქალაქ ლიუნელისა და თბილისის ეტაპებზე ითამაშებენ. ლიუნელის ტურნირი 2-3 ივნისსაა, თბილისი კი სასეირო რაგბის 17-18 ივნისს უმასპინძლებს.

ევროპული სერიის ფინალური თორმეტგუნდა ეტაპი შარშანდელივით მოსკოვში ჩატარდება. სხვათა შორის, შარშან ჩვენებმა მათთვის შეუფერებელი, მე-10 ევროადგილი დაიკავეს და რაგბის საერთაშორისო საბჭოს მსოფლიო სერიას ამად დააკლდნენ.

ლიუნელში საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით ითამაშებს: *ლექსო გუგავა, ირაკლი გუნდიშვილი, სანდრო გილაური, ნიკა მხეიძე (ყველა ლოკომოტივი), ვახტანგ ახვლედიანი, ბექა კუპრეიშვილი, ლადო ნიკურაძე (ზულიგანა), ზვიად კობერიძე, სანდრო ნიჟარაძე (ყოჩები), მერაბ კვირიკაშვილი (ლელო).*

კალათბურთი

2006 NBA Playoffs

25 მაისი

აღმოსავლეთის ფინალი

დეტროიტი 1:1 მაიამი

დეტროიტი 92:88 მაიამი

დეტროიტი: პრინსი (24 ქულა, 11 მოხსნა), რ. ვოლესი (16), ბ. ვოლესი (9 ქულა, 12 მოხსნა), ჰამილტონი (22), ბილაპსი (18); დელფინო, მაკდაესი (3), დევისი, ჰანტერი, დელკი

მაიამი: უოლქერი (11), ჰესლემი (2), ონილი (21 ქულა, 12 მოხსნა), ვეიდი (32), უილიამსი (7); პოუსი (6), ჰეიტონი (7), მურნინგი (2), ანდერსონი

ჰოკეი

პლეი ოფი 2006

25 მაისი

ნახევარფინალი

დასავლეთი

ანაჰაიმი 1:3 ედმონტონი

ედმონტონი 3:6 ანაჰაიმი

0:3 3:2 0:1

0:1 პენერი (8), 0:2 პენერი (16), 0:3 გეცლაფი (20), 1:3 ბერჟერონი (24), 1:4 სალეი (26), 2:4 რ. სმიტი (28), 3:4 ლარაქი (31), 3:5 ლუპული (39), 3:6 ლუპული (59)

ველორბოლა

ჯირო დიტალია 2006. *6-28 მაისი*

მე-18 ეტაპი. 25 მაისი.

სილიანი — გემონა დელ ფრიული. 210 კმ

1 შტეფან შუმახერი (გერმანია, გეროლშტაინერი)	5სთ 31წთ 33წმ
2 მარციო ბრუსეგინი (იტალია, ლამპრე)	
3 ხოსე პალასიოსი (ესპანეთი, პანარია)	ორივე იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 ივან ბასო (იტალია, CSC)	73სთ 30წთ 47წმ
2 ხოსე გუტიერესი (ესპანეთი, ფონაკი)	%5წთ 43წმ
3 ჟილბერტო სიმონი (იტალია, სონი დიუვალი)	%10წთ 34წმ

სარბიელი სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

ავტორბოლა

მეშვიდე ეტაპი — მონაკოს დიდი პრიზი

მონტე კარლო

მონტე კარლო, 28 მაისი



ტრასის სიგრძე — 3.340 კმ

რბოლის დისტანცია — 78 წრე — 260.520 კმ

რბოლა დაიწყება თბილისის დროით 16 საათზე

შარშან: 1 რაიკონენი (მაკლარენი); 2 ჰაიდფელდი (უილიამსი); 3 ვებერი (უილიამსი); 4 ალონსო (რენო); 5 მონტოია (მაკლარენი); 6 რ. შუმახერი (ტოიოტა); 7 მ. შუმახერი (ფერარი); 8 ბარიკელო (ფერარი)

წრის რეკორდი: 2004 — მ.შუმახერი (ფერარი) 1:14.439 (161,0კმ/სთ)

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge